ოფიციალური სტატუსი ამერიკულ "მშვიდობის კორპუსს", არა! - რუსულ სამხედრო ბაზებს A2

"მთავრობას თქვენ ნორმალურები არ ჰგონიხართ" A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 6 სექტემბერი, 2003 წელი. №239 (451)

ფასი 30 თეთრი

აფეთქება ახალციხეში

გუშინ საღამოს, დაახლოებით ცხრა საათზე, ახალციხეში ძლიერი აფეთქება მოხდა. სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინა ფასადი თითქმის მთლიანად დაინგრა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ შენობის გარშემო მდებარე საცხოვრებელ სახლებს ფანჯრები აღარ შერჩა. აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავდა ადმინისტრაციის შენობაში მყოფი კომენდანტი, რომელიც სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მსუბუქი დაზიანებები მიიღეს შენობაში მყოფმა სხვა პირებმაც.

გვიან ღამემდე, მომხდარის შესახებ სამართალდამცველები მწირ ინფორმაციას გასცემდნენ: **"ახლა ვადგენთ ყველაფერს, მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება-შემოწმება. აფეთქების ვერსიებზე საუბარი ამ ეტაპზე გამორიცხულია. ვადგენთ აფეთქების მიზეზებს. მიმდინარეობს მოკვლევა. წინასწარ ვერაფერს ვიტყვით და ვერც რაიმე შეფასებას მივცემთ. ჩასატარებელია ექსპერტიზა,"** - ასეთი გახლდათ სამართალდამცველთა კომენტარები. თუმცა, გუშინვე დადგინდა, რომ აფეთქების მიზეზი ადმინისტრაციის შენობასთან დამონტაჟებული ნაღმი გახდა.

ახალციხის სამხარეო ადმინისტრაციამ მომხდარი გუშინვე პოლიტიკური კუთხით შეაფასა. "ეს იყო პრეზიდენტის რწმუნებულის, გელა კვარაცხელიას წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტი," - აცხადებდნენ გუშინ სახელისუფლებო ბლოკის წევრები. ისინი აფეთქების უკან პოლიტიკურ ძალებს მოიაზრებენ.

როგორც თავად გელა კვარაცხელიამ განაცხადა, მან აფეთქებამდე 3-4 წუთით ადრე დატოვა შენობა.

24 საათი

სახელმძღვანელო, სახელმძღვანელომ, სახელმძღვანელოს...

ადრე წესი იყო: პირველ სექტემბერს სახელმძღვანელოები ყველას უნდა ჰქონოდა. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. სასწავლო წლის ბოლოსაც კი მოსწავლეთა დიდ ნაწილს ყველა სახელმძღვანელო არა აქვს. სახელმძღვანელო კი თერთმეტივე კლასის მოსწავლეებს სჭირდებათ.

A4

შვარცნეგერი ქალებს აწუხებს

მართალია, კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში არნოლდ შვარცნეგერის მონაწილეობამ პოლიტიკოსებით თავმობეზრებული ბევრი ამომრჩეველი გაახარა, მაგრამ ზოგიერთები ჩივიან, რომ წარსულში მსახიობის განცხადებები და დამოკიდებულება ქალებისადმი მის მიმართ ეჭვებს აღძრავს.

A5

ამინდი

თბილისი	29
ქუთაისი	22
ბათუმი	17
სოხუმი	16
ფოთი	17
თელავი	28
ზუგდიდი	20
გორი	23
ახმეტა	28
ჭიათურა	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ	3.4322
რუბლი	0.0705

სვანეთში დაძაბულობაა

„მესტიაში მოქმედ კრიმინალურ კლანებს პოლიცია ტყვია-წამლით ამარაგებს," - აცხადებენ მესტიელები

სვანეთში არსებული უმძიმესი კრიმინალური სიტუაციის გამო ატეხილი სამთავრობო აჟიოტაჟიდან, მართალია, სამი კვირა გავიდა, მაგრამ მესტიის რაიონში არც ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაცია დაწყებულა და არც დესანტი გადაუსხამთ, როგორც ეს პრეზიდენტმა მოითხოვა.

ინგა ალავიძე

მეტიც, გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ანტიკრიმინალური ოპერაციების ჩატარებაში გამოცდილი შს მინისტრი და სხვა ძალოვანები სვანეთთან დაკავშირებით გაცილებით რბილად საუბრობდნენ: **"ოპერატიული ინფორმაციით, სვანეთში ძებნილი კრიმინალები არიან თავმოყრილნი. ზოგიერთი მათგანი თავს ტყეებს აფარებს. რეგიონში არსებობს, აგრეთვე, ოჯახების დაპირისპირების პრობლემაც. აქედან გამომდინარე, რეგიონში პროფილაქტიკურ-სამძებრო სამუშაოები ჩატარდება, რომელიც კონკრეტული კრიმინალების წინააღმდეგ იქნება მიმართული. არავითარ შემთხვევაში არ არის საუბარი სადამსჯელო ღონისძიებებზე, რეგიონში ფართომასშტაბიანი სპეცღონისძიებების ჩატარება არ იგეგმება, ამიტომაც სვანეთის ღონისძიებასა და პანკისში ჩატარებულ ოპერაციას შორის პარალელის გავლება არ შეიძლება, ვინაიდან პანკისის მსგავსი მასშტაბური ღონისძიებები სვანეთში არ ჩატარდება,"** – განაცხადა შს მინისტრმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ცივი ომის პიკი გადალახულია

რუსი ექსპერტები საქართველოში

რევაზ ბახტაძე

გუშინ სასტუმრო "ილიონში" ქართველი და რუსი ექსპერტების კონფერენცია - "ქართულ-რუსული ურთიერთობები: ნაბიჯი წინ" - გაიმართა. შეხვედრა ორგანიზებული იყო მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტის, რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრისა და "Safe World"-ის მიერ. ამავე ორგანიზაციების ეგიდით ექსპერტების პირველი შეხვედრა 2003 წლის ივლისში გაიმართა. ცნობილი რუსი ექსპერტები "24 საათს" საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ ესაუბრნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

ბეჭდ. გადაღებული ფოტო

რუსი ექსპერტები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან საქართველოში "რაო ეეს"-ის შემოსვლით.

პირველად საქართველოში - არჩევნები სანდო სიებით

ყოველ შემთხვევაში, ამჟამინდელი პროგნოზებით, საქმე იქეთკენ მიდის

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა დევდარიანი ეწვია "ექსპო-ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრში მოქმედ ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზაციის ცენტრს, სადაც საარჩევნო სიებს აზუსტებენ. ამ ეტაპზე მნიშვნელოვან საკითხად რჩება საოლქო კომისიების ფორმირება. მათ აქტიურად უნდა იმუშაონ, რათა სიები უბნების მიხედვით გადანაწილდეს. ამომრჩეველთა სიებმა ყველაზე სრულყოფილი სახე სწორედ საუბნო კომისიებში უნდა მიიღოს. "ეს უკომპრომისო შემთხვევაა საქართველოში, როდესაც ხელისუფლება ამომრჩეველთა ახალ სიებს აკეთებს. ახალი ცესკო დიდ ინტერესს იჩენს სიებისადმი, რომელიც საარჩევნო პროცედურის ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია", - არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი ნუგზარ კუპრეიშვილი იმედს გამოთგვამს, რომ ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის სიები გაცილებით უფრო ზუსტი და სანდო იქნება, ვიდრე დღემდე იყო.

ვერიკო თევზაძე

ამომრჩეველთა სიების კომპიუტერიზაციის ცენტრმა თითქმის მთლიანად დაასრულა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემების დამუშავება. დარჩენილია მხოლოდ ახალქალაქისა და ნინოწმინდის რეგიონების შეყვანა მონაცემთა ბაზაში. ცენტრი ამ ეტაპზე ახდენს კორექტირებას. ამომრჩეველთა რეგისტრაციის ჯგუფის ხელმძღვანელის დავით ყიფიანის განმარტებით, **"სიები რეალურად მაინც მოსახლეობამ და პარტიებმა უნდა გადაამოწმონ საუბნო კომისიებში გამოკვრის შემდეგ".**

ამ ეტაპზე კომპიუტერულ ქსელში შეტანილია ამომრჩევლის ორ მილიონ 100 ათას-კაციანი სია. ამას უნდა დაემატოს თბილისის, აჭარის მონაცემები და დევნილთა 160- ათასკაციანი სია. დედაქალაქში ამჟამინდელი მონაცემებით 760 ათასი ამომრჩეველია. შსს-ს პირვანდელ სიაში მილიონ 200 ათასი თბილისელი ირიცხებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

დღეს, შესაძლოა, მაჰმუდ აბასის ზეობის ხანა დასრულდეს

ლევან ღირსიაშვილი

დღევანდელი დღე პალესტინისათვის, შესაძლოა, ისტორიული აღმოჩნდეს. დღეს პალესტინის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს ნდობა-უნდობლობის ვოტუმი უნდა გამოუტანოს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ დღევანდელი კენჭისყრით, შესაძლოა, მაჰმუდ აბასის კარიერა დასრულდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ალტერნატივის წინაშე პარლამენტი თავად მაჰმუდ აბასმა დააყენა.

გუშინ პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, იასირ არაფატისათვის ძალაუფლების შეკვეცის ხარჯზე, აბასმა მისთვის უფლებების გაზრდა მოითხოვა. მან პალესტინელ კანონმდებლებს პირობა წაუყენა: **"ან მომეცით საშუალება, ჩემი მანდატი შევასრულო, ან ეს მანდატი თქვენვე წაიღეთ უკან."**

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

მაჰმუდ აბასი პარლამენტში გამოსვლის დროს.

"ბრიტიშ პეტროლიუმის" ფარული მეწილეები საქართველოში

ყბადაღებული ნავთობსადენის ტრასის გასწვრივ მიწის შესყიდვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. მუქთა ნაღდ ფულზე დაგეშილმა ჩვენმა თანამემამულეებმაც უცბად "აწყვეს საქმე" და დროს უქმად არ კარგავენ. "ბრიტიშ პეტროლიუმმა" ("ბი-პი") სამი ათასამდე მიწის კერძო მესაკუთრიდან, დაახლოებით, ათასს უკვე გადაუხადა კომპენსაცია. სულ, მათი გათვლებით, ამ საქმეს 13 მილიონ ლარამდე დასჭირდება. თითოეულ მესაკუთრეს საშუალოდ 20 ათასამდე ლარი ერგება. მაგრამ, მაგალითად, ახალციხისა და გარდაბნის რაიონებში თანხა ბევრად მეტია მიწის კატეგორიებისა და ნათეს-ნარგავების სპეციფიკაციის გამო. მაგრამ მათ, ვისაც კომპენსაცია მიღებული აქვთ, აშანტაჟებენ და თანხას "აწერენ". ხოლო იქ, სადაც კომპენსაციები ჯერ არ გაცემულა, მიწის მესაკუთრეობის დოკუმენტაცია ელვის სისწრაფით "იცვლება" იმის მიხედვით, თუ ვინ, რამდენს და ვის "გაუმაზავს".

გიორგი გახელაძე

საქართველოსავით ღატაკ ქვეყანაში სოფლის მცხოვრებს ერთიანად ნაღდ რამდენიმე ათეულ ათას ლარს რომ გადაუხდი, ის ბევრ რამეზე დახუჭავს თვალს. სწორედ ამიტომ, ადგილობრივი მოხელეებისა თუ "შავებისგან" ფულის გამოძალვაზე, ოფიციალურად, მხოლოდ ერთიორი ადამიანი თუ აცხადებს. მაგრამ, ამ მოვლენის ტოტალურ მასშტაბზე პირად საუბრებში ძალიან ბევრი ლაპარაკობს. მიღებული კომპენსაციის დაახლოებით 10-15 პროცენტი ასეთ არაფორმალურ "გადასახადებს" ხმარდება. ოფიციალურად კი ამ და სხვა დარღვევებზე მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აცხადებს: "ავტორიტეტები", მიწის მართვის რაიონული სამმართველოები და, შესაბამისად, გამგეობების თავკაცები, ძალოვანები თუ საბანკო მოხელეები – ვისაც კი ოდნავ მაინც აქვს შეხება პროცესთან ან გავლენა მოსახლეობაზე –ავთობკომპანიას და მის საერთაშორისო კრედიტორებს, პრაქტიკულად, "წილში უსხედან".

არადა, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (სნსკ) და სამართალდამცავი სტრუქტურები, რომლებიც საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების გარანტები არიან, გაზაფხულზე საჯაროდ

გაგრძელება A4 გვერდზე

ნინო ბურჯანაძის სამხედრო-პოლიტიკური "მანევრები"

ნინო ბურჯანაძე თავის კაბინეტში თითქმის აღარ შედის. წანასაარჩევნო კამპანიამ პარლამენტის თავმჯდომარე "ნაროდნიკად" აქცია – ყოველდღე რამდენიმე დაწესებულებას სტუმროზს და ამომრჩევლებს ხვდება. ბლოკის "ბურჯანაძე-დემოკრატები" ლიდერისთვის გუშინდელი დღეც საკმაოდ გადატვირთული გამოდგა: დილით იგი თავდაცვის ეროვნულ აკადემიას ესტუმრა, შემდეგ დიდუბის რაიონის მოსახლეობას დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად გიორგი ბარამიძე წარუდგინა; მოგვიანებით კი ელექტორატთან სამუშაოდ რუსთავს გაემგზავრა.

გიორგი ასანიშვილი

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ყოფნისას პარლამენტის თავმჯდომარე მკვეთრი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას შეგნებულად მოერიდა და, კურსანტებისა და ოფიცრების წინაშე გამოსვლის დროს, ცალკეულ საკითხებზე მხოლოდ ზოგადი საუბრით შემოიფარგლა. მან სამხედროებს დამდეგი "დიდგორობა" მიულოცა, მადლობა გადაუხადა თურქეთის მხარეს იმ დახმარებისთვის, რომელსაც ის ჩვენ ქვეყანას ქართული ჯარის აღმშენებლობის საქმეში უწევს. ეს დახმარება განსაკუთრებით კარგად არის წარმოჩენილი იმავე სამხედრო აკადემიაში, სადაც, მატერიალურ უზრუნველყოფას რომ თავი დავანებოთ, თურქი ოფიცრები უშუალოდ მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.

ნინო ბურჯანაძე სამხედრო სასწავლებლის ხელმძღვანელობას ჰპირდება, რომ მომავალი პარლამენტის საქმიანობის ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ ქართული არმიის გაძლიერებაზე ზრუნვა და ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში მისი მოყვანა იქნება. პარლამენტის სპიკერმა და აკადემიაში ყოფნისას მისმა "მეგზურმა" გიორგი ბარამიძემ სამართლიანად მიიჩნიეს სასწავლებლის ხელმძღვანელობის თხოვნა სათანადო იურიდიული ბაზის შექმნის შესახებ. კერძოდ, საუბარი იყო "სამხედრო განათლების შესახებ" კანონის მიღების აუცილებლობაზე და თავდაცვის ეროვნული აკადემიისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე მუხლის გამოყოფის მიზანშეწონილობის თაობაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

"ახლები" და "ლიბერალები" გაერთიანდნენ

სულ რამდენიმე თვის წინ შექმნილი ლიბერალური პარტია მალე არსებობას შეწყვეტს და მისი წევრები "ახალი მემარჯვენეები" გახდებიან. გუშინ ამ ორი პარტიის ლიდერებმა – დავით გამყრელიძემ და რეზო შავიშვილმა - უკვე ოფიციალურად მოაწერეს ხელი ერთობლივ განცხადებას "ახლებისა" და ლიბერალების გაერთიანების თაობაზე. როგორც პარტიების პირველი პირები აცხადებენ, "ამით საქართველოში საფუძველი ეყრება მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესს – მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიათა გაერთიანებას."

თამარ მჭედლიშვილი

"ეს არ არის წინასაარჩევნო გაერთიანება. იგი მსოფლმხედველობრივ პრინციპებზე დაფუძნებული ერთობაა, რომელიც გულისხმობს ერთი დიდი მემარჯვენე ტიპის პოლიტიკური ძალის შექმნას. ჩვენი გაერთიანება გრძელვადიანი და ერთიან იდეოლოგიურ პრინციპებზე აგებული გაერთიანებაა," – აცხადებს "ახალი მემარჯვენეების" თავკაცი დავით გამყრელიძე.

"ლიბერალების" ლიდერების თქმით კი, **"მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური გაერთიანებების გამსხვილების პროცესი დასრულებული არ არის და იგი უახლოეს მომავალში ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მძლავრი და უალტერნატივო მემარჯვენე ძალთა დამკვიდრებით დასრულდება."**

საგულისხმოა, რომ ლიბერალური პარტია ჯერჯერობით არ გაუქმებულა. ამის მიუხედავად, საპარლამენტო არჩევნებში მისი წევრები "ახალი მემარჯვენეების" სახელით გამოვლენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

ვაჟა ლორთქიფანიძე - მნიშვნელოვანი სამიზნე

გუშინ გავრცელებული ინფორმაცია ვაჟა ლორთქიფანიძის სახელისუფლებო ბლოკში გადაბარგების თაობაზე ჯერჯერობით ოფიციალურად არ დასტურდება. ამის მიუხედავად, "24 საათის" ინფორმაციით, ბლოკის კონსულტაციები ქრისტიან-დემოკრატებთან ინტენსიურად მიმდინარეობს. როგორც ამბობენ, ლორთქიფანიძე შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს და მას ბლოკში პირველ ნომრად შესვლა შესთავაზეს. ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, ვაჟა ლორთქიფანიძე არც ოპოზიციონერებთან (კერძოდ, "გაერთიანებულ დემოკრატებთან") წყვეტს საუბრებს.

გუშინ, ღამის 11 საათისთვის, ვაჟა ლორთქიფანიძის ბედი კლავ გაურკვეველი იყო და მოლაპარაკებების საბოლოო შედეგის თაობაზე ცნობილი არაფერი გახლდათ. ამას ჩვენთან საუბარში როგორც მოქალაქეები, ასევე ვაჟა ლორთქიფანიძის თანაგუნდელები ადასტურებდნენ. პარლამენტარ ზეზვა ღუღუნიშვილის თქმით (რომელიც გუშინ მთელი დღის მანძილზე ბლოკის საარჩევნო შტაბში იმყოფებოდა), არც იგი, არც ვიტალი ხაზარაძე და არც გიორგი ზურაბაშვილი საქმის კურსში არავის ჩაუყენებია, "რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება მიღებული არ იყო."

"ყველაფერი ორ-სამ დღეში გაირკვევა. ჩვენ ყველა ძალასთან ვმართავთ კონსულტაციებს. აუცილებლად მისაღებია კოორდინირებული, ერთიანი გადაწყვეტილება," – ეს უკვე ვაჟა ლორთქიფანიძის თანაგუნდელი დემოკრატებთან) წყვეტს საუბრებს.

ექს-სახელმწიფო მინისტრისადმი პარტიების ინტერესი რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. პირველ რიგში, ეს ის სოლიდური თანხებია, რომელიც ლორთქიფანიძის მეგობრებმა შეიძლება არჩევნებისთვის "გაიმეტონ". ამას ემატება მისი პოლიტიკური გავლენა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასე რომ, ვაჟა ლორთქიფანიძის "მონადირება" არც თუ ურიგო იქნებოდა.

24 საათი

უშიშროების სამინისტრომ „ჭიათურმანგანუმის" ბუღალტერი დააკავა

გუშინ პრეზიდენტ შევარდნაძესთან უშიშროების მინისტრის მოადგილის შეხვედრის შემდეგ, დააპატიმრეს სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის" კიდევ ერთი თანამდებობის პირი.

"ჭიათურმანგანუმის ბუღალტრის, სერგო გოგოლაძის დაპატიმრების მიზეზი უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული ხუთთვიანი გამოძიების შედეგად საწარმოში აღმოჩენილი ფინანსური დარღვევები გახდა", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა. მისივე თქმით, გუშინ დაკავებული სერგო გოგოლაძე ისეთ ჯგუფურ დანაშაულშია ეჭვმიტანილი, როგორიც დიდი რაოდენობით ფულის გაფლანგვა და მიტაცებაა. გუშინ გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა "ჭიათურმანგანუმის" ბუღალტრის გარდა, საწარმოს კიდევ რამდენიმე თანამდებობის პირი დააკავეს, ლაშა ნაცვლიშვილმა ჩვენთან საუბარში კატეგორიულად უარყო. "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციის მმართველის, გოგი ლეჟავასა და ბუღალტრის სერგო გოგოლაძის გარდა ჯერჯერობით არავინ დაგვიკავებია. ყველა ეჭვმიტანილის დაჭერა ხომ არ შეიძლება", - ასეთი კომენტარი გააკეთა უშიშროების მინისტრმა "24 საათთან" საუბრისას.

შეგახსენებთ, რომ გოგი ლეჟავას სასამართლომ სამთვიანი პატიმრობა რამდენიმე დღის წინ შეუფარდა. მის დაპატიმრებას დიდი ხმაური მოჰყვა. "ჭიათურმანგანუმის" ბუღალტრისათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების საკითხზე სასამართლო ორი დღის შემდეგ იმსჯელებს.

24 საათი

ცხინვალის მთავრობაში ცვლილებები ხდება

ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოევთან პრემიერ-მინისტრის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი რამდენიმე კანდიდატურა განიხილება.

ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ბორის ჩოჩიევს მიიჩნევენ. იგი, ამავე დროს, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეა.

არანაკლები შანსი აქვს ალან ფარასტაევსაც, რომელიც ლუდვიგ ჩიბიროვის მთავრობაში ჯერ შინაგან საქმეთა, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრად მუშაობდა. მასვე შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა კოკოევის გაპრეზიდენტების პირველ თვეებშიც ეკავა.

პრემიერ-მინისტრის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატია 65 წლის ფელიქს სანაკოევიც. იგი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს, საბჭოთა პერიოდში კი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნად მუშაობდა.

გამორიცხული არ არის, ახალ მთავრობაში ვეღარ მოხვდეს დე ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი ჯემალ ქარქუსოვი. მის შემცვლელად მისსავე პირველ მოადგილეს რობერტ გულიევს ასახელებენ.

მინისტრობის სხვა კანდიდატების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

ვარაუდობენ, რომ საკადრო ცვლილებები უახლოეს დღეებში განხორციელდება. **მედია-ნიუსი**

უმსხვილესი ქართული ბანკების კაპიტალი იზრდება

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს ინფორმაციით, საქართველოში მომუშავე კომერციულ ბანკებს შორის შერჩეული ათი უმსხვილესი ბანკის მთლიანი აქტივები 2003 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობითა და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25,5 პროცენტით გაიზარდა. მთლიანმა ვალდებულებებმა 27,4 პროცენტით, სააქციო კაპიტალმა კი 18,5 პროცენტით მოიმატა. სებ-ში აცხადებენ, რომ მთლიანი ვალდებულებების ზრდა განპირობებულია **"დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების მოცულობის გაზრდით. სააქციო კაპიტალის მატება კი აქციონერთა მიერ ახალი შენატანებისა და მოგების ზრდას უკავშირდება."**

უმსხვილესი ქართული კომერციული ბანკების სია და მათი მთლიანი აქტივები კი 2003 წლის 1 აგვისტოს მონაცემებით ასე გამოიყურება:

	კომერციული ბანკის დასახელება	ლარებში
1	სს „თიბისი ბანკი"	255,525,701
2	სსკბ „საქართველოს ბანკი"	214,001,324
3	სს „გაერთიანებული ქართული ბანკი"	164,133,671
4	სს „მიკროსაფინანსო ბანკი"	112,747,988
5	სს „საქართველოს საზღვაო ბანკი"	93,570,934
6	სს „ბანკი ქართუ"	104,303,852
7	სსკბ „რესპუბლიკა"	78,969,926
8	სს „ინტელექტბანკი"	48,997,884
9	სს „სახალხო ბანკი"	33,348,413
10	სს „თბილუნივერსალბანკი"	22,006,647
	ჯამში	1,127,606,340

"ახლები" და "ლიბერალები" გაერთიანდნენ

პირველი გვერდიდან

ძველი და ახალი "ახლები", ერთად - მემარჯვენეები.

2 ნოემბრის შემდეგ ორივე პარტია დამოუკიდებლად გამართავს ყრილობას. მხოლოდ ამის შემდგომ გამოაცხადებენ "ლიბერალები" თვითლიკვიდაციას.

დავით გამყრელიძის თქმით, **"ლიბერალები" სრულად იზიარებენ ახალ მემარჯვენეთა წინასაარჩევნო პროგრამას, რომელსაც "დასაქმების, განახლებისა და აღმშენებლობის 900 დღე ეწოდება".**

გუშინვე "ახლებმა" და "ლიბერალებმა" მოქმედების ერთიანი პრინციპები გაახმოვანეს. **"უარს ვამბობთ იმ უარყოფით გამოცდილებაზე, რომელიც ქართულ პოლიტიკაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც იგი აღვირახსნილი ინტრიგების, კულუარული გარიგებებისა და შავი პიარტექნოლოგიების ასპარეზად იქცა. პოლიტიკას ჩვენ გვინახილავთ მიზნის მიღწევის ხელოვნებად და ღრმად გვწამს, რომ ზნეობრივი პოლიტიკა ერთადერთი ჭეშმარიტად პრაგმატული და შედეგიანი პოლიტიკაა,"** – ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ დავით გამყრელიძე და რეზო შავიშვილი.

"ახლებთან" გაერთიანებამდე "ლიბერალები" ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ პარლამენტის თავმჯდომარესთან. პოლიტიკურ კულუარებში თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ნინო ბურჯანაძის საყრდენი პოლიტიკური ძალა სწორედ ლიბერალური პარტია გახდებოდა, მაგრამ, როგორც გუშინ გაირკვა, ბოლო წუთს რეზო შავიშვილმა და ვახტანგ ხმალაძემ გადაწყვეტილება "ახლების" სასარგებლოდ მიიღეს

გუშინ დავით გამყრელიძემ იმ პრობლემებზეც ისაუბრა, რომელიც ამ ბოლო დროს ოპოზიციურ ბანაკში შეიქმნა. გამყრელიძე სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ვერ მოახერხეს მიღწეული შეთანხმების დაცვა. საუბარია ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარობის ოპოზიციონერ კანდიდატებს შორის დაპირისპირების თავიდან აცილების თაობაზე. **"ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთის მიმართ კორექტულობის ფორმები უნდა დაიცვან და საარჩევნო კამპანია ურთიერთლანძღვაში არ უნდა გადაიზარდოს,"** - ამბობს დავით გამყრელიძე.

თავად "ახლები" საკუთარი მაჟორიტარი კანდიდატების დასახელებას უახლოეს დღეებში აპირებენ.

ოფიციალური სტატუსი ამერიკულ "მშვიდობის კორპუსს", არა! - რუსულ სამხედრო ბაზებს

თამარ ხორბალაძე

ირაკლი მენაღარიშვილი და რიჩარდ მაილსი "მშვიდობის კორპუსს" ოფიციალურ სტატუსს ანიჭებენ.

ამერიკასა და საქართველოს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის "მშვიდობის კორპუსის" საქმიანობა, საქართველოში თითქმის 2-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ უკვე ოფიციალურად გაფორმდა. ამ შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ოფიციალური საზეიმო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას, "მშვიდობის კორპუსის" წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი და ამერიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი დაესწრნენ. მათ მაღალი შეფასება მისცეს "მშვიდობის კორპუსის" საქართველოში მოღვაწეობას.

საქართველოში მოღვაწე "მშვიდობის კორპუსის" ხელმძღვანელის ნორმან ჰიქის განცხადებით, ამჟამად საქართველოში ამ საქველმოქმედო-საგანმანათლებლო ორგანიზაციის 47 მოხალისე მასწავლებელი მუშაობს, რომლებიც საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საშუალო სკოლებში ადგილობრივ კადრებს, განათლების პრიორიტეტების განსაზღვრასთან ერთად, ინგლისურისა და კომპიუტერის სწავლაში ეხმარებიან.

შეხვედრაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა კომენტარი გააკეთა საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის პერსპექტივასთან დაკავშირებითაც. როგორც ცნობილია, სექტემბრის პირველ დღეებში ამ საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების რაუნდი ისევ უშედეგოდ დასრულდა.

"რუსეთის ჯარები საქართველოს აუცილებლად დატოვებენ და ამ საკითხზე რუსეთის წარმომადგენლებსაც კი ილუსია და აფხაზეთის ხელისუფლებას სოხუმის უნივერსიტეტის რექტორად მართვადი პიროვნების დანიშვნა უნდა. თანაც, მსგავსი ტერორისტული ქმედებებით მთავრობას წინასაარჩევნოდ ხალხის დაშინება სურს," – აცხადებს უნივერსიტეტის პრორექტორი თემურ ჩილაჩავა.

"ჩვენ წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ თავიდანვე სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალის დასავლეთის რომელიმე რაიონში ან სოფელში გადატანა უნდოდათ," – განმარტავს უნივერსიტეტის პრორექტორი ზურაბ ლომთათიძე.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა რექტორზე ბოლო თავდასხმის მიზეზად არც რექტორატის პოლიტიკურ ორიენტაციას გამორიცხავს. **"ჩვენ "თერგდალეულებს", ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ჟვანიას ვუჭერთ მხარს და გვჯერა, რომ ნოემბერში საქართველოში ახალი ძალა მოვა,"** – იმედოვნებს უნივერსიტეტის პრორექტორი.

თუკი ხელისუფლება სოხუმის უნივერსიტეტის რექტორატის მოთხოვნას არ შეასრულებს, პროფესორ-მასწავლებლები აქციის მოწყობით კანცელარიის შენობის წინაც იმუქრებიან.

სრულებას, რომ საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანილი სამხედრო ტექნიკის განსათავსებლად რუსეთში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის უცხოური დაფინანსება გამოინახოს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ ბაზებთან დაკავშირებით რუსეთი პოზიციას არ შეიცვლის, ქართულ მხარეს სხვა ნაბიჯების გადადგმაც შეუძლია.

აღნიშნულ შეხვედრამდე გამართულ ბრიფინგზე კი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ მიღწევად ჩათვალა თავად მოლაპარაკებების პროცესის განახლების ფაქტი და აღნიშნა, რომ საქართველო ამ მოლაპარაკებებზე აყენებს საკითხთა მთელ კომპლექსს, მათ შორის - რუსეთის ბაზების კომუნალური და სხვა სახის ვალების საკითხსაც, რომელთა საერთო ოდენობა 5 მილიარდს აღწევს.

ბრიფინგზე ისიც ითქვა, რომ საქართველომ ამერიკულ მხარეს გაუგზავნა ინფორმაცია ტრეფიკინგთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ და ქართული მხარე იმედოვნებს, რომ ეს ინფორმაცია საქართველოს ავად-სახსენებელი მესამე კატეგორიიდან "დაწინაურებისთვის" საკმარისი აღმოჩნდება.

„ჩვენს რექტორზე თავდასხმა ხელისუფლების დაკვეთაა"

აცხადებენ სოხუმის უნივერსიტეტის თბილისის ფილიალის პროფესორები

ნანა ქადაგიშვილი

არჩევნებისადმი გულგრილნი, ბუნებრივია, არც საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელნი რჩებიან. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორატმა "გაერთიანებული დემოკრატების" მომხრე სტუდენტების გუშინდელი აქცია ხელისუფლებაში არსებული ტერორისტული ძალების წინააღმდეგ მიმართა.

ბოროტმოქმედებმა ახალი სასწავლო წელი აფხაზეთის უნივერსიტეტს რექტორზე თავდასხმით მიულოცეს.

3 სექტემბერს სოხუმის უნივერსიტეტის რექტორს ოთარ ჟორდანიას ფილიალის შენობაში თავს დაესხნენ. რექტორი მსუბუქად დაშავდა. თავდამსხმელთაგან ორი დააკავეს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ხელისუფლებისგან თავდასხმის დამკვეთთა გამოვლენას მოითხოვენ.

"ჩვენს რექტორს უკვე მესამედ დაესხნენ თავს. პირველად 1995 წელს, მეორედ – ორი წლის შემდეგ, შარშან კი, მთელი წლის განმვლობაში უნივერსიტეტში შემოდიოდა ტერორისტული ზარები, თითქოს შენობაში ბომბი იყო. ეს ყველაფერი ხელისუფლების დაკვეთაა. საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლებას სოხუმის უნივერსიტეტის რექტორად მართვადი პიროვნების დანიშვნა უნდა. თანაც, მსგავსი ტერორისტული ქმედებებით მთავრობას წინასაარჩევნოდ ხალხის დაშინება სურს," – აცხადებს უნივერსიტეტის პრორექტორი თემურ ჩილაჩავა.

"ჩვენ წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ თავიდანვე სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალის დასავლეთის რომელიმე რაიონში ან სოფელში გადატანა უნდოდათ," – განმარტავს უნივერსიტეტის პრორექტორი ზურაბ ლომთათიძე.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა რექტორზე ბოლო თავდასხმის მიზეზად არც რექტორატის პოლიტიკურ ორიენტაციას გამორიცხავს. **"ჩვენ "თერგდალეულებს", ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ჟვანიას ვუჭერთ მხარს და გვჯერა, რომ ნოემბერში საქართველოში ახალი ძალა მოვა,"** – იმედოვნებს უნივერსიტეტის პრორექტორი.

თუკი ხელისუფლება სოხუმის უნივერსიტეტის რექტორატის მოთხოვნას არ შეასრულებს, პროფესორ-მასწავლებლები აქციის მოწყობით კანცელარიის შენობის წინაც იმუქრებიან.

ორი სიტყვით

ბათუმი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის პრესსამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ასლან აბაშიძემ ამ თანამდებობაზე პროფესიით ჟურნალისტი, 22 წლის თამარ გუდავა წარადგინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის აეროპორტში სპეცრეისით ჩამოფრინდა ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების 200-მდე სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც 8-22 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებენ ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებში "მედქეარ-რესქიუერ-2003". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 11-13 სექტემბერს საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი რონალდას პაქსასი ეწვევა.

დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან - ედუარდ შევარდნაძესთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან - ნინო ბურჯანაძესთან და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან - ირაკლი მენაღარიშვილთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 19-20 სექტემბერს საქართველოს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა წმინდა საყდრის სახელმწიფო სამდივნოს სახელმწიფოებთან ურთიერთობის მდივანი, არქიეპისკოპოსი ჟანლეო-ტორანი.

იგეგმება შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია მეორესთან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ლილოს სასაზღვრო რაზმის ტერიტორიაზე მდებარე სასწავლო ცენტრში გაიმართა ნატო-ს სტანდარტებით მომზადებული სასაზღვრო საგუშაგოების უფროსების მე-5 ნაკადის გამოშვების საზეიმო ცერემონიალი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 50.000 მხარდამჭერის ხელმოწერა გადასცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მონაწილეობას მიიღებს დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტში, რომელიც 18-19 სექტემბერს, იალტაში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ეროვნული უშიშროების საბჭომ შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ძალებით სვანეთში სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რათა იქ მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია დარეგულირდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ერთიანი კომუნისტური პარტიის" ყრილობაზე, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართება, საარჩევნო სტრატეგიაზე იმსჯელებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლის რეგიონში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ბოლნისის მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრის გამო დაკავებული თანამდებობიდან გადადგომას აპირებს. წინასწარი ინფორმაციით, ლევან მამალაძე სახელისუფლებო ბლოკის საარჩევნო სიაში მეოთხე ადგილს დაიკავებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგინა კიდევ სამ რაიონს - ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის რაიონებს. ენერგოკომპანიაში განაცხადეს, რომ ელექტროენერგია დავალიანების გამო მხოლოდ 10 რაიონს აღარ მიეწოდება. თუმცა, ქვეყანაში შექმნილი ენერგოკრიზისის გამო მთლიანად რეგიონებია დარჩენილი ელექტროენერგიის გარეშე. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. „ჭიათურმანგანუმში" არსებული მდგომარეობა ქვეყნის პრეზიდენტთან გამართული ეკონომიკური გუნდის მინისტრების მსჯელობის საგანი გახდა. როგორც შეხვედრის შემდეგ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტთან საწარმოს ამჟამინდელ მუშაობაზე, 57-მილიონიანი დავალიანების რესტრუქტურიზაციასა და მის მომავალზე ისაუბრეს. **მედია-ნიუსი.**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მოკლედ

სასტიკი მკვლელობა

გუშინ, გვიან ღამით, საზარელი მკვლელობა მოხდა ტყიბულის რაიონში. მამა-შვილი - გოჩა და რევაზ გვენეტაძეები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს.

ინციდენტი ტყიბულიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით მდებარე ერთ-ერთ ფერმასთან მოხდა. ტყიბულის ერთ-ერთ ეკლესიაში მოღვაწე მამა ლაზარეს ვახშმად სტუმრები ჰყავდა მიწვეული. მათ შორის მისი ძმა და ძმისშვილი გოჩა და რევაზ გვენეტაძეებიც იმყოფებოდნენ. მოგვიანებით მასპინძელს დაუპატიჟებელი სტუმრები ესტუმრნენ. ცოტა ხანში ნასვამ სტუმარ-მასპინძლებს შორის შელაპარაკება მოხდა. გაწევ-გამოწევა მკვლელობით დასრულდა. მოგვიანებით მისულმა სტუმარმა მამა ლაზარეს ძმა და ძმისშვილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით დაცხრილა. შვილი - 24 წლის გოჩა გვენეტაძე ადგილზევე გარდაიცვალა, მამა-გვენეტაძე კი ტყიბულის საავადმყოფოში.

ჩვენი ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილია ერთ-ერთი სტუმარი ბეშქენაძე, რომელიც შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. გუშინ მის დასაკავებლად მთელი დღის განმავლობაში გაძლიერებული ძებნა მიმდინარეობდა, თუმცა სამართალდამცველებმა მის კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

მომხდართან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით. "დამნაშავე შორს ვერ წავა. მობილიზებულია რეგიონის პოლიცია. მის დასაკავებლად მიმდინარეობს სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებები",- განაცხადა 24 საათთან საუბრისას იმერეთის რეგიონის პოლიციის უფროსმა ზაზა ძნელაძემ.

ორი სიტყვით

თბილისი. მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში, სადაც გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის - ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ ბიბლიოთეკიდან დათხოვილი 90-მდე თანამშრომლის სარჩელი უნდა განხილულიყო, პროცესი მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო.

ბიბლიოთეკის 90-მდე თანამშრომელი ლევან ბერძენიშვილს სამსახურიდან უკანონო დათხოვნისთვის და ბიბლიოთეკაში გენეოლოგიის განყოფილების გაუქმებისთვის უჩივის. სასამართლოში მათ ინტერესებს საქართველოს ლეიბორისტული პარტიის იურიდიული დეპარტამენტის ადვოკატები იცავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მე-5 საპყრობილეში შიმშილობას განაგრძობს საპყრობილის ყოფილი რვა თანამშრომელი, რომელთაც ბრალი ედებათ პატიმრების გაქცევის ხელშეწყობაში. გია მაყაშვილი, ვასილ ვალიშვილი, რომან ლომიძე, ამირან ნიკოლაიშვილი, გია მინაშვილი, ბესო კაპანაძე, რომენ ციკოიძე და ვახტანგ ლიპარტელიანი 2003 წლის 31 მაისს თბილისის მე-5 საპყრობილიდან 16 პატიმრის გაქცევის გამო დააკავეს. პატიმრები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ გამოძიება არაობიექტურია და მოითხოვენ, საქმე გენერალურმა პროკურატურამ შეისწავლოს.

საპყრობილის ყოფილმა თანამშრომლებმა შიმშილობა მას შემდეგ დაიწყეს, რაც 29 აგვისტოს წინასწარი სამთვიანი პატიმრობის ვადა 2 თვით გაუგრძელდათ. მოშიმშილეებს გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 35 წლის მიხეილ შატბეროვი (მეტსახელად "შაკალი") ავტომანქანიდან მობილურის გატაცების ფაქტზე დააკავეს.

შატბეროვმა დავით ვაშაყმაძეს ავტომანქანიდან მოსტაცა მობილური ტელეფონი. შატბეროვი წარსულში მრავალჯერ ნასამართლევია. მის საქმეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 30 წლის ზუგდიდელი გიორგი ევსია ავტომანქანის მოპარვის ბრალდებით თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა პოლიციამ დააკავა. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ევსიას ბრალად ედება თემქის დასახლებაში მცხოვრები ვალერი ჯაჯიმანის კუთვნილი „მერსედესის“ ტიპის მიკროავტობუსის მოპარვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციელებმა გიორგი ბაქარიაშვილი გაუპატიურების მცდელობისთვის დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 17 წლის ალექსანდრე ნიკოლაევი, 15 წლის ვიქტორ ბროიანი და 15 წლის გალუზ სიმონიანი ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა ქურდობის ბრალდებით დაკავეს. როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში აცხადებენ, არასრულწლოვანებმა 15 მარტს - ალექსანდრე მანუკიანის ბინა, ხოლო 29 აგვისტოს ელისა ფანიაშვილის საცხოვრებელი სახლი გაქურდეს. **მედია-ნიუსი**

ნინო ბურჯანაძის სამხედრო-პოლიტიკური "მანევრები"

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"მაქსიმალურად დაგეხმარებით," - ასეთი დაპირებით დატოვეს პარლამენტარებმა სამხედრო სასწავლებლის ტერიტორია და რკინიგზელთა კულტურის სახლში გადაინაცვლეს, სადაც ნინო ბურჯანაძემ დიდუბელ ამომრჩევლებს გიორგი ბარამიძისთვის სადეპუტატო მანდატის გაგრძელება "მოთხოვა".

თუ სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს პარლამენტის თავმჯდომარემ მთავრობის კრიტიკისგან თავი შეიკავა, სამაგიეროდ, "სამოქალაქო აუდიტორის" წინაშე გამოსვლისას აღმასრულებელი ხელისუფლება სერიოზულად გააკრიტიკა.

"დღეს ხელისუფლება ბედავს და გვეკითხება, შუქი გირჩევნიათ თუ თავისუფლებაო; ხვალ კი შეგვეკითხება - შუქი გინდათ თუ აფხაზეთის დაბრუნებაო. არ შეიძლება, ასეთი ხალხი ქვეყნის სათავეში იმყოფებოდეს. ხელისუფლება გულმოდგინედ ანგრევს ყოველივე იმას, რასაც ბოლო 10 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებით ვაშენებდით," - გულისტკივილით საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარე.

ამასთან, ბურჯანაძე ერთგვარად აჯამებს საქართველოს რეგიონებში თავისი მოგზაურობის შედეგებს და აღნიშნავს, რომ მას, მართალია, აგრესიულად არსად შეხვედრიან, მაგრამ პერიფერიებიდან მაინც გულდამძიმებული დაბრუნდა. ამის მიზეზია ის უმძიმესი და გაუსაძლისი მდგომარეობა, რომელშიც მთელი ქვეყანა იმყოფება.

"ყველგან ერთი სურათია - ნგრევის და გაპარტახების. ჩვენ იმ ზღვარს ვუახლოვდებით, რომლის შემდეგაც ქვეყნის ფეხზე დაყენება ძალიან გაჭირდება. საქართველოს მთელი მოსახლეობა გამყიდველებად და წვრილ მოვაჭრეებად არის ქცეული. ასეთი საქართველო არავის გვინდა. ეს მწარე რეალობა აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. ხელისუფლება, რომელიც ელემენტარულ პრობლემებს ვერ აგვარებს, უნდა წავიდეს," - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და დიდუბელების წინაშეც იძლევა დაპირებას, რომ თუ პარლამენტში უმრავლესობაში მოვა, მთავრობის გადაყენების საკითხს პირველივე სხდომაზე დააყენებს.

პარლამენტის თავმჯდომარე სინანულით საუბრობს იმაზეც, რომ მაშინ, როდესაც ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ჭაობშია ჩაძირული, გამგებლები პოლუსობენ დროს სპეციალური რაზმების შესაქმნელად, რომელთა ერთადერთი დანიშნულებაც ბლოკის "ბურჯანაძე-დემოკრატები" წინასაარჩევნო პლაკატების ჩამოხევაა.

ბᲔᲚᲐ ᲑᲔᲚᲐᲫᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

"მაქსიმალურად დაგეხმარებით," - ასეთი პირობა დატოვა ნინო ბურჯანაძემ სამხედრო აკადემიაში.

ხელისუფლების კრიტიკაში ნინო ბურჯანაძეს არც გიორგი ბარამიძე "ჩამორჩება" და ბლოკის "ბურჯანაძე-დემოკრატები" გამარჯვების შემთხვევაში, თავის ამომრჩევლებს მნიშვნელოვან სიახლეებს ჰპირდება. იმ სამოქმედო დოკუმენტს კი, რომელსაც ბლოკი ოფიციალურად 20 სექტემბერს გამოაქვეყნებს, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარე **"საქართველოს გადარჩენის პროგრამას"** უწოდებს.

პარლამენტის კედლებში ნინო ბურჯანაძისა და გიორგი ბარამიძის "ჩხუბს" საზოგადოება უკვე კარგა ხანია, შეეჩვია. მათი "დავა" გუშინ რკინიგზელთა კულტურის სახლშიც გაგრძელდა.

"რეგლამენტს არც პარლამენტში იცავ და და არც აქ," - დროის დაზოგვისკენ მოუწოდა სპიკერმა გიორგი ბარამიძეს, რომელიც თავისი ამომრჩევლისთვის ანგარიშის ჩაბარების დროს ძალიან "შორს წავიდა". თუმცა, სპიკერს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ **"ბარამიძე ერთერთი იმ იშვიათი პოლიტიკოსთაგანია, რომელიც ყოველთვის გულწრფელია."**

"არავის სჯერა, რომ პარლამენტში მართლა ვჩხუბობთ. ყველას დადგმული სპექტაკლი ჰგონია. არადა, ჩვენ მართლა ვჩხუბობთ!" - კიდევ ერთხელ "აუხირდა" სპიკერი ბარამიძეს, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლაში გუშინ ნინო ბურჯანაძე უძლური იყო: მაჟორიტარობის კანდიდატად "კურთხევისას" თავის "პარტნიორ-ოპონენტს" მიკროფონს ნამდვილად ვერ გამოურთავდა.

სვანეთში დაძაბულობაა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"საუბარია სერიოზული დამნაშავეების დაკავებაზე, მათ შორის, მკვლელობების, ადამიანების გატაცებებისა და სხვა მძიმე დანაშაულებისათვის ძებნილ პირებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წარსულში სვანეთში უცხოელ ჟურნალისტებზე განხორციელებულ თავდასხმათა საქმეებს, რაც დღემდე გაუხსნელია. სვანეთი სავსეა ძალიან სერიოზული კრიმინალებით, რომლებიც მძიმე სასჯელს იმსახურებენ," – ასეთ განმარტებას იძლევა ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე..

"რამდენიმე ათეული კრიმინალის გამო სვანეთს კრიმინალური ანკლავის იმიჯს ნუ შევუქმნით," - ასეთი თხოვნით მიმართა ჟურნალისტებს უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა.

პროფილაქტიკური ღონისძიებები სვანეთში, სავარაუდოდ, ერთ კვირაში დაიწყება და როგორც ძალოვანები ვარაუდობენ, რამდენიმე დღეში დასრულდება. თუმცა, სვანეთში ჩასატარებელი ოპერაციის რეკლამირებიდან სამი კვირის შემდეგაც ღონისძიების ჩატარების ზუსტი დრო ჯერჯერობით დაუდგენელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ პროფილაქტიკურ ოპერაციაში მონაწილეობას შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების წარმომადგენლები მიიღებენ. სვანეთში გენერალური პროკურატურის თანამშრომლებიც ჩავლენ.

სვანეთში კრიმინოგენული სიტუაცია, რამდენიმე წელია, გამწვავებულია. **"სვანეთში ისეთი სიტუაციაა, რომ აქ უკვე აღარ დაგვედგომება,"** – აცხადებენ მესტიელები, რომლებმაც გასულ კვირას ხელისუფლებას თავი იმით შეახსენეს, რომ მესტია-ზუგდიდის გზა ჩაკეტეს. მოსახლეობის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, როცა სვანები კრიმინოგენული სიტუაციის მოწესრიგების მიზნით ქუჩაში გამოვიდნენ.

ხელისუფლების სამკვირიანმა აჟიოტაჟმა მესტიელთა უნდობლობა დაიმსახურა. რეგიონში არსებული უმძიმესი კრიმინოგენული სიტუაციით შეწუხებულ სვანებს ანტიკრიმინალური ოპერაციის შედეგისა უკვე აღარ სჯერათ. მესტიელები აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ სიტუაცია უარესად არია.

"მართალია, რეგიონში დარჩენილნი არიან კრიმინალები, მაგრამ არა იმ დონისა, როგორც ხატავენ. საქმე ისაა, რომ ძალოვანთა განცხადებების შემდეგ სვანეთი ბობოლა კრიმინალებმა უკვე დატოვეს. თუ მართლაც სიტუაციის დალაგება სურდათ, ყოველგვარი სკანდალის გარეშე, წყნარად შემოსულიყვნენ და ის სერიოზული კრიმინალები, რომლებმაც აიკლეს სვანეთი, ხმაურის გარეშე დაეპატიმრებინათ. არადა, მას შემდეგ, რაც მთელი ამბავი ატეხეს, სვანეთი კრიმინალებისგან დაიცალა," – ჩვენთან საუბრისას განაცხადა მესტიელმა, რომლის ვინაობასაც, მისივე თხოვნით, არ ვასახელებთ.

ხელისუფლების საქციელით შეწუხებული სვანები 1993 წელს მესტიაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი ანტიკრიმინალური ოპერაციის ტრაგიკულ შედეგებს იხსენებენ და აცხადებენ, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებას ახლა უკვე აზრი აღარ აქვს, რადგან, როგორც წინა შემთხვევისას, ახლაც უდანაშაულო ადამიანები დაზარალდებიან. **"დღევანდელი სიტუაცია ძალზე წააგავს 1993 წელს სვანეთში ჩატარებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას. მაშინაც, როგორც დღეს, წინასწარ შექმნეს ფონი და სვანეთიდან სერიოზული კრიმინალები გააქციეს. შემდეგ დადიოდნენ და სადამსჯელო ღონისძიებებს პატიოსან მოსახლეობას უტარებდნენ. შინაგან ჯარსა და მოსახლეობას შორის არა ერთი ინციდენტი მოხდა და, საბოლოოდ, ოპერაცია ტრაგედიით დასრულდა. გასვიანების ოჯახში გასაჩხრეკად შესულ ნასვამ ჯარისკაცებს ოჯახის დიასახლისი, მასწავლებელი ქალბატონი დარეჯან გასვიანი შემოაკვდათ. ამ ფაქტის გამო, სვანეთი ფეხზე დადგა და ამიტომაც იძულებულები გახდნენ, აქაურობა დაეტოვებინათ. ახლაც ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ აუცილებლად იგივე განმეორდება. იმდენი ილაპარაკეს, რომ კრიმინალური კლანის ლიდერები სვანეთიდან გააქციეს. ახლა შემოვლენ, დააკავებენ ერთ-ორ, დეზერტირობისთვის ან სხვა წვრილმანი დანაშაულისთვის ძებნილს, შემდეგ დაივლიან ოჯახებს, ამოიღებენ სანადირო თოფებს და იტყვიან, დიდძალი უკანონო იარაღი ამოვიღეთო. არადა, სვანეთში მონადირე ხალხი ცხოვრობს და თითქმის ყველა ოჯახშია სანადირო თოფი... ერთი სიტყვით, იგივე სიტუაცია განმეორდება, დაგვაწიოკებენ და წავლენ,"** – ასე სკეპტიკურად არიან განწყობილნი მესტიელები, რომლებიც რეგიონში კრიმინალური სიტუაციის გამწვავებაში სამართალდამცველებსაც ადანაშაულებენ. მეტიც, მათი განცხადებით, მსხვილ კრიმინალებს პოლიცია მფარველობს კიდეც. **"სვანეთში რამდენიმე კრიმინალური კლანია. უფრო ზუსტად, ყველა სოფელს თავისი მმართველი კრიმინალი ჰყავს. თუ ადრე ყაჩაღობის მსხვერპლი უცხო ადამიანი ხდებოდა, ახლა უკვე სვანებსაც აღარ ინდობდნენ, 13-14 წლის ბავშვებიც კი ყაჩაღობდნენ. გზაზე ადგილობრივ ავტორიტეტულ პიროვნებას უნდა გაეცილებინე, არადა, ჩასაფრებულ კრიმინალებს ვერ გადაურჩებოდი. განსაკუთრებული დევნა უცხოელ სტუმრებზე მიმდინარეობდა. ტურიზმი, რომელიც სვანეთისთვის სერიოზული შემოსავლის წყარო იყო, ფაქტობრივად, მოკვდა. სვანეთში უკვე აღარავინ ჩამოდის.**

არსებული კრიმინალური სიტუაციის წინააღმდეგ პოლიცია არავითარ ზომებს არ ღებულობს.

ცოტა ხნის წინ შემზარავი ფაქტი მოხდა, ყაჩაღები სოფელ ჭუბერში სუბელიანების ოჯახს დაესხნენ თავს, ოჯახის დიასახლისი დააბეს, ოჯახის უფროსი ვახტანგ სუბელიანი კი დაჭრეს. სახლს სამი საათის მანძილზე ძარცვავდნენ, ამასობაში, დაჭრილი ვახტანგ სუბელიანი სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევის შესახებ პოლიციისთვის ცნობილი გახდა, მაგრამ სახლში შესვლა ვერავინ გაბედა. პოლიციამ ყველაფერი იცის, მაგრამ არ რეაგირებენ, რადგან კრიმინალებთან შეკრულები არიან, მფარველობენ მათ, იმ კრიმინალებთან ერთად ქეიფობენ, რომელთა შესახებაც ახლა ძალზე ბევრს საუბრობენ. მეტიც, პოლიცია ტყვია-წამლითაც კი ამარაგებს მათთან დაახლოებულ მესტიაში მოქმედ კრიმინალურ კლანებს," – აცხადებენ მესტიელები.

გუშინ სვანეთში უხუცესთა საბჭოს შეკრება შედგა, სადაც მესტიის გამგებელი ერეკლე ჯაფარიძეც მიიწვიეს და ხატზე დააფიცეს, რომ ბექა გირგვლიანის მკვლელობის საქმეს უახლოეს დღეებში გახსნიან, ამ დღეებში სვანეთიდან გაქცეულ მკვლელს დააპატიმრებენ და, საერთოდ, სვანეთში კრიმინოგენული სიტუაცია დალაგდება. სანაცვლოდ, მესტიელებმა რამდენიმე დღის წინ გადაკეტილი გზა გახსნეს. თუმცა, თუ პირობა არ შესრულდება, მესტიის გზა კვლავ ჩაიკეტება. მეტიც, მესტიელები, რომელთაც უკვე აღარ სჯერათ ხელისუფლებისა, უპრეცედენტო საპროტესტო აქციით იმუქრებიან. **"თუ ორ თვეში სვანეთში კრიმინალური სიტუაცია არ გამოსწორდება, რეგიონი დაცარიელდება. ჩვენ უკვე აღარ დაგვედგომება სვანეთში, ამიტომაც ავიყრებით და მოსახლეობა აქაურობას დატოვებს, სვანეთი დაცარიელდება,"** – ასეთ ულტიმატუმს უყენებენ ხელისუფლებას მესტიელები.

"მთავრობას თქვენ ნორმალურები არ ჰგონიხართ"

გუშინ ნინო ბურჯანაძესთან ერთად რუსთაველებმა დიდი ხნის ნატრული ელექტროშუქი იხილეს, რომელიც სტუმრის წასვლისთანავე გაიპარა

მაია მოსიაშვილი

ნინო ბურჯანაძეს რუსთაველები დიდი სასოებით ელოდნენ - ის პირველად ჩამოვიდა აქაურების ჭირ-ვარამის მოსასმენად.

- ჩვენ დავიღალეთ იმ შოუების ყურებით, რაც პარლამენტში ხდება, დავიღალეთ ყოველდღიურად პარლამენტარების ყურებით!

- ხელისუფლებაში ხალხის გულშემატკივარი არავინ დარჩა.

- ნათლად ვხედავთ, რომ თავკომბალა სახელმწიფოში ვცხოვრობთ. აღარ გვინდა ასე ცხოვრება.

- არსად არსებობს მარადიული მთავრობა და მარადიული პარლამენტარები. დაგვაქცია აფხაზეთიდან დევნილები ჩვენმა ხელისუფლებამ და გვიშველეთ!

- ეს არის უშუქო, უწყლო, უგაზო, გაღატაკებული და უმუშევრებით დასახლებული ქალაქი. ისეთი ქვეყანა გვინდა, სადაც აღარ დაგვჭირდება, დავწეროთ დიაგნოზი - შიმშილით სიკვდილი!

- მაპატიეთ და, როგორც გავიგეთ, პარლამენტარებს 480 ლარი ჰქონიათ პენსია, ჩვენ რა დავაშავეთ, კაცო, 13 ლარია და იმასაც არ გვაძლევენ.

- მთელი ცხოვრება მეტალურგიაში ვმუშაობდი, ხალხს ათასობით ლარი აქვს ქარხანაში ასაღები. სამინისტროებში დავდივართ, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ არის, დაგვეხმარეთ!

ამგვარი თხოვნა-მუდარა უამრავი მოისმინა ნინო ბურჯანაძემ ქალაქის დრამატულ თეატრში მის სანახავად მისული რუსთაველებისაგან.

"გულგრილობა დანაშაულია. მინდა გთხოვოთ, რომ არ შეეგუოთ იმ ვითარებას, რაც დღეს არის და ერთად ვიბრძოლოთ მის შესაცვლელად!" - ბურჯანაძემ რუსთავში ჟურნალისტებისაგან შეიტყო, რომ იმ დილით ქვემო ქართლის გუბერნატორს სატელევიზიო გამოსვლისას უთქვამს, ჩვენი მოსახლეობის 85 პროცენტი კმაყოფილია ცხოვრებით და ახლანდელი ხელისუფლების მომხრეაო.

"რა ჰგონია ამ მთავრობას, რომ ხალხი ვეღარ აზროვნებს? თუ, მართლაც, ფიქრობენ, რომ 85 პროცენტი კმაყოფილია, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მათ ნორმალურები არ ჰგონიხართ," - ეს სიტყვები ბურჯანაძემ დღის განმავლობაში ბევრჯერ გაიმეორა და ამით ნიშნი მიუგო გუბერნატორ მამალაძეს, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარის მასპინძლობას, დიდგორზე ორგანიზაციული საკითხების მოგვარება არჩია.

ნინო ბურჯანაძემ რუსთავი ქალაქის მერის თანხლებით შემოიარა. ტყეშელაშვილი "ბურჯანაძე-დემოკრატების" წინასაარჩევნო შეხვედრას აღარ დასწრებია, თუმცა ამ თავყრილობაზე მის სახელს ხშირად ახსენებდნენ. "დემოკრატების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ვიცე-მერმა ზაზა იმედაშვილმა ხოტბა-დიდება შეასხა ქალაქის მერს, მთავრობას და, შესაბამისად, საკუთარ თავსაც, რასაც დარბაზში მჯდომთა ჩუმი გაღიზიანება მოჰყვა.

"თუ პარლამენტში უმრავლესობით მოვალთ, პირველი, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, ის იქნება, რომ გადავაყენებთ ამ ხელისუფლებას, ავაშენებთ ქვეყანას, სადაც იქნება კანონის დიქტატურა, რომლის წინაშეც ყველა თანასწორი იქნება," - ნინო ბურჯანაძეს რუსთაველები გაცისკროვნებული, მომლოდინე თვალებით უსმენდნენ და ხშირად სიტყვას ტაშით აწყვეტინებდნენ, თუმცა შეხვედრის დასასრულისთვის ეს ურთიერთგაგება სადღაც გაქრა, რადგან, როგორც ამბობდნენ, ბურჯანაძის სახელზე დარბაზიდან შესულმა უამრავმა წერილმა ადგილობრივი ცენზურა გაიარა და მხოლოდ ნაწილი აღმოჩნდა პარლამენტის თავმჯდომარის ხელში.

- რაც არ აწყობდათ, არ წააკითხეს, ასე შეიძლება? სიმართლე არავის აინტერესებს, - აყვირდა და აირია ხალხი. ბევრი მაინც ეცადა, ბოლომდე ებრძოლა და პარლამენტის თავმჯდომარისათვის საკუთარი გაჭირვების თაობაზე მოეხსენებინა. ბევრმაც ხელის ჩაქნევით დატოვა იქაურობა. 84 წლის ბებო სცენაზე თვითნებურად აიჭრა და ნახევრად ცარიელ დარბაზს და სცენაზე უხერხულად მომღიმარ ბურჯანაძეს სიტყვით მიმართა. "საქართველო ჩაძირულია," - ყვიროდა ბებო და თეთრ მელაზე საკუთარ ლექსებს კითხულობდა.

რუსთაველები, ცოტა არ იყოს, დაბნეულები დარჩნენ, რადგან ნინო ბურჯანაძისაგან ლამაზი და ჭრელი დაპირებები ვერ მიიღეს. **"დემოკრატია საქმის კეთებაა, ჩვენ ვერ ვიქნებით პოპულისტები და ფუჭი დაპირებებით ვერ მოგატყუებთ,"** - უთხრა ბურჯანაძემ პოლიტიკოსებისაგან არჩევნების წინ მრავალგზის მოტყუებულ ადამიანებს, თუმცა ამის გამო არავინ აღფრთოვანებულა.

პირველად საქართველოში - არჩევნები სანდო სიებით

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გადამოწმების შედეგად სია თითქმის განახევრდა. პირველადი მონაცემების შემოწმებისას სიაში 323 ათასი გარდაცვლილი ადამიანი აღმოჩნდა. ამ ეტაპზე, გარდაცვლილთა გარდა, გადასახედია მათი სიები, ვინც საპატიმროებში იხდის სასჯელს. ცსკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განმარტებით, **"აჭარის სიებთან დაკავშირებით პრობლემები შეინიშნებოდა, ვინაიდან იგი ხელნაწერების სახით არსებობდა და ელექტრონული ვერსიის გარეშე, ბუნებრივია, სისტემაში ჩართვა ვერ მოხერხდა".** ქალბატონი დევდარიანი იმედოვნებს, რომ თვის ბოლომდე ეს პრობლემა მოგვარდება.

ამომრჩეველთა სიების ელექტრონული გადამოწმების შემდეგ სიები უბნებში 15-17 სექტემბრამდე უნდა გამოაკრან. ამ შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ პირს ექნება სიების ხელახლა გადამოწმების საშუალება. ჩვენი მოსახლეობის ინერტულობიდან გამომდინარე, ალბათ, პარტიები იაქტიურებენ, ვინაიდან ზუსტი სიების არსებობა არავის მისცემს არჩევნების გაყალბების საშუალებას.

ბᲔᲚᲐ ᲑᲔᲚᲐᲫᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

მართლაც, შთამბეჭდავად გამოიყურება ამომრჩეველთა სიების კომპიუტერული დამუშავების პროცესი.

რელიგიური თავისუფლების შეფასება

რელიგიური თავისუფლების თემამ კვლავ ერთად შეჰყარა საქართველოში მოქმედი ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობოების პირველი პირები, მათი საზღვარგარეთელი პარტნიორები და სტუმრები. სემინარი თემაზე "რელიგიური თავისუფლების მდგომარეობა საქართველოში" გუშინ სასტუმრო მეტეხში ჩატარდა.

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის მიერ დაფინანსებული შეხვედრა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა მოამზადა.

საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადგენლების გარდა სემინარს თითქმის ყველა კონფესიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც თავიანთ გამოსვლებში ზოგადად გაილაშქრეს რელიგიური ძალადობის წინააღმდეგ და ისაუბრეს სახელმწიფოს როლზე ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

ტრადიციულად, მწვავე და კონკრეტული გამოსვლა მამა ბასილ კობახიძეს ჰქონდა, რომელმაც თავიდანვე განაცხადა, რომ საპატრიარქოს პოზიციას არ წარმოადგენდა და საზოგადოებას საკუთარ მოსაზრებას მოახსენებდა. მისი თქმით კი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გაბატონებულები არიან ფსევდოქრისტიანული, ფანატიკური ძალები, რომლებიც თვით პატრიარქსაც კი ატერორებენ. პატრიარქი ამ ძალების მსხვერპლი და მძევალიაო, განაცხადა მან.

მამა ბასილს არც საპატრიარქო გამოუტოვებია, რომელიც პრესის ზეწოლაში დაადანაშაულა. "24 საათთან" საუბარში კი ცნობილ სასულიერო პირებს, რომლებსაც მრევლი პატივისცემით ეპყრობა, ხეპრე და გაუნათლებლები უწოდა.

საბოლოოდ, სემინარის მონაწილეებმა საქართველოში რელიგიური თავისუფლების მდგომარეობას არადამაკმაყოფილებელი და საგანგაშო შაფასება მისცეს.

24 საათი

სახელმძღვანელო, სახელმძღვანელომ, სახელმძღვანელოს...

ირინა ლიზიანურის ფოტო

სახელმძღვანელოების ბაზრობებზე ხალხმრავლობა თვის ბოლომდე შენარჩუნდება

ადრე წესი იყო: პირველ სექტემბერს სახელმძღვანელოები ყველას უნდა ჰქონოდა. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. სასწავლო წლის ბოლოსაც კი მოსწავლეთა დიდ ნაწილს ყველა სახელმძღვანელო არა აქვს. სახელმძღვანელო კი თერთმეტივე კლასის მოსწავლეებს სჭირდებათ.

დალი კუპრავა

განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ძირითადი სახელმძღვანელოების ჩამონათვალში 30 პროცენტი ალტერნატიულია, ანუ საგანში ორი, რამდენიმე შემთხვევაში კი სამი სახელმძღვანელოა და მშობელმა უნდა იყიდოს ის, რომელსაც საგნის მასწავლებელი მიუთითებს. საგნის მასწავლებელი თავისი ნებით არჩევს სახელმძღვანელოს. "ალტერნატიული სახელმძღვანელოები, სწავლების მაღალი ხარისხის შემთხვევაში, ერთნაირ შედეგს იძლევა. ამ მხრივ, მათ შორის განსხვავება არ არის", - განაცხადა განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის სახელმძღვანელოებითა და დამხმარე მასალებით სკოლების უზრუნველყოფის კომპონენტის ხელმძღვანელმა კოტე ჯანდიერმა.

დღეს ზოგიერთი საგნის სახელმძღვანელოს სამი ვარიანტი მოქმედებს და, როგორც კოტე ჯანდიერმა გვითხრა, დროთა განმავლობაში ეს მხარეც დაიხვეწება: ან ალტერნატიულების მოხმარება დარეგულირდება, ან ასარჩევი აღარ იქნება. უმჯობესია, საზოგადოება მიეჩვიოს არჩევანს, რადგან საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს ყველა სახელმძღვანელო აკმაყოფილებს.

სახელმძღვანელოების 70 პროცენტი უალტერნატივოა და არჩევანს არ ითხოვს.

ჩამონათვალში არის, აგრეთვე, დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, რომლებიც თავისი დანიშნულების მიხედვით უნდა იქნეს გამოყენებული. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება, ძირითადი სახელმძღვანელო დამხმარეთი ჩაანაცვლოს. მსგავსი შემთხვევები წინა წლებში ხდებოდა - ავტორის "ჩაწყობითა" თუ მასწავლებლის სურვილის მიხედვით.

საქართველოს განათლების სამინისტრომ განათლების განყოფილებებს დაურიგა ცირკულარი, რომელშიც ეს მითითებაა. მაგრამ ხშირად, ძირითადი სახელმძღვანელოს დამხმარეთი ჩანაცვლების შემთხვევაში, განათლების განყოფილების გამგეები და სკოლის დირექტორები იმიზეზებენ, რომ ამის შესახებ არ იცოდნენ.

გაზაფხულის მიწურულს საქართველოს მასშტაბით სკოლების დირექტორებს დაევალათ სახელმძღვანელოების სააბონემენტო სისტემის ორგანიზება. მშობლებმა აბონემენტები შეიძინეს და გადაიხადეს საჭირო სახელმძღვანელოების თანხა. ამ პროცესს, როგორც ამბობენ, ზოგიერთ სკოლაში სიმახინჯეც ახლდა - დირექტორებს მშობლებისთვის, სახელმძღვანელოთა ღირებულების გარდა დამატებით სამი ლარი მოუთხოვიათ. სახელმძღვანელოების დისტრიბუციის სააბონემენტო სისტემას შპს "სკოლა და განათლება" ახორციელებს. "სკოლა და განათლების" თავმჯდომარის, ნუგზარ ჯოგლიძის განცხადებით, სკოლებს სახელმძღვანელოები 10-15 სექტემბრისთვის მიეწოდებათ. "მანამ ბავშვები მაინც არ არიან სრულად შეკრებილებიო, გვეუბნებიან სკოლები და, ამდენად, ეს დაგვიანება ანგარიშში ჩასაგდებიც არ არის", - თქვა ჯოგლიძემ.

მანვე აღნიშნა, რომ ყველაზე პრობლემურია "დედა ენა", რადგან რაც "განათლებამ" დაბეჭდა, თითქმის მთლიანად შეიძინეს რაიონების მაჟორიტარმა დეპუტატებმა.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თბილისში მერია-საკრებულოსა და რეგიონებში მაჟორიტართა წინასაარჩევნო მეცადინეობით, შეიძლება პირველკლასელებს ორორი "დედა ენაც" ექნეთ, მაგრამ დანარჩენი ათი კლასის მოსწავლეების ბედი ჯერ გაურკვეველია.

"გამომცემელთა ასოციაციის" თავმჯდომარის შადიმან ხელაძის განცხადებით, საქართველოს 670 ათასი მოსწავლე რომ სრულად დაკმაყოფილდეს, საჭიროა 18-20 მილიონი ლარის ღირებულების სახელმძღვანელო, ბაზარზე კი წლიურად ამ თანხის დაახლოებით 40 პროცენტი ანუ 9 მილიონი თანხაა, რაც კომერციული თვალსაზრისით ცოტა არ არის. თუ მარტივ არითმეტიკულ პროცესს სახელმძღვანელოს ფუნქციიდან გამომდინარე შინაარსით დავტვირთავთ, გამოდის, რომ საქართველოს მოსწავლეების თითქმის სამოცი პროცენტი სახელმძღვანელოს არ ყიდულობს. სწავლებისა და სწავლის რა ხარისხზე შეიძლება საუბარი, თუ მოსწავლეს სახელმძღვანელო არა აქვს?!

საქართველოში ნავთობის მოპოვება მატულობს

მაია ურუშაძე

გუშინ პროფკავშირების სახლში მენავთობეებმა და გაზის სექტორის მუშაკებმა "ნავთობისა და გაზის მუშაკთა დღე" აღნიშნეს. მენავთობეებსა და გაზის სპეციალისტებს დღესასწაული "კანარგო-ოილის" პრეზიდენტმა დევიდ რობსონმა, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა, ნავთობისა და გაზის სააგენტოს მარეგულირებელი სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ითონიშვილმა, "საქნავთობის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ თევზაძემ, გენერალურმა დირექტორმა გიორგი მახარაძემ, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის პრეზიდენტმა ირაკლი კიზირიამ და სხვებმა მიულოცეს.

როგორც "24 საათს" საქნავთობის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი მახარაძემ განუცხადა, **"საქართველო-ბრიტანეთის ნავთობკომპანიამ "GBOC" უკვე გახსნა ორი საბადო ნინოწმინდაში, საიდანაც ნავთობის დღიური მოპოვება 400 ტონას აღწევს. მიმდინარეობს მუშაობა მესამე ჭაბურღილის ასამოქმედებლად."** ნინოწმინდის საბადოზე ინტერესები "კანარგოსაც" აქვს.

ვინაიდან საქართველოში ნავთობის მოპოვება მატულობს, კვლავ აქტუალური ხდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის -"გაორის" ამოქმედება. "საქნავთობში" მიიჩნევენ, რომ საქართველოში ეს, უბრალოდ, აუცილებელია. თუმცა, მანამდე, სანამ საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზარი იმპორტზე იქნება ორიენტირებული, ამ ქარხანას ამუშავება არ უწერია, რადგან ეს ხელს არ აძლევს ნავთობიმპორტიორებს.

არსებული საგადასახადო რეჟიმით "გაორის" ქარხნის მუშაობა არარენტაბელურია. მის ასამოქმედებლად "საქნავთობი", რომელიც ოფიციალურად "გაორის" აქციათა 83 პროცენტს ფლობს, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნის ამოქმედებისთვის საგადასახადო ფონის გაუმჯობესებასა და ამ ტიპის პროდუქციის წარმოებაზე შეღავათების დაწესებას ითხოვს.

ცივი ომის პიკი გადალახულია

ვირველი გვერდიდან

ბაია გელაშვილის ფოტო

არჩილ გეგეშიძე და ივლიანე ხაინდრავა იძულებულნი იყვნენ, მოთმინებით მოესმინათ რუსი ექსპერტების ექსპანსიურ-სტრატეგიული პროგნოზები.

ცნობილი რუსი სამხედრო მიმომხილველის პაველ ფელგენგაუერის აზრით, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს შეიძლება, სტაბილურად ცუდი ვუწოდოთ. ერთი წლის წინ კინაღამ შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდა საქმე. **"ჩვენ მოკლევადიან მიზნებზე ვართ კონცენტრირებული. ახლა ბუშისა და პუტინის სამიტი ახლოვდება, ამდენად, საქართველოსთან ყველაფერი რიგზე უნდა იყოს. ჩვენ თბილისთან დაპირისპირება არ გვჭირდება,"** - აღნიშნა მან. რუსი ექსპერტის თქმით, შევარდნაძის ფაქტორიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. **"შევარდნაძის ეპოქა მთავრდება საქართველოში, ბევრი კი ორ ქვეყანას შორის ცუდ ურთიერთობებს სწორედ მას უკავშირებს. ფიქრობენ, რომ როდესაც იგი სცენიდან წავა, ურთიერთობები თავისთავად მოგვარდება."**

რუსი ექსპერტების ნაწილი კი ფიქრობს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ადრინდელთან შედარებით საგრძნობლად გამოსწორდა. **"გასულ წელს თუ შევადარებთ, მაშინ "ცივი ომის" პიკი იყო, მაგრამ ჩვენ ყველაზე ცუდი ეტაპი გავიარეთ,"** - მიიჩნევს სტრატეგიული პარტნიორობის კომიტეტის წარმომადგენელი სერგეი კორტუნოვი. მისი აზრით, ახლა ურთიერთობები თვალსაჩინოდ გამოკეთდა, რაშიც პოზიტიური როლი სოჭში შევარდნაძისა და პუტინის მოლაპარაკებებმა შეასრულა.

კორტუნოვის აზრს რუსეთის ინფორმაციის ყოფილი მინისტრი სერგეი გრიზუნოვიც იზიარებს. **"თუ დღევანდელ ვითარებას ათბალიანი სისტემით შევაფასებთ, მაშინ იგი სამს მინუსით არ აცდება. თუმცა, დაახლოებით, ნახევარი წლის წინ ეს მაჩვენებელი მყარი ერთიანი იყო და შეიძლება გარკვეულ პროგრესზეც ვილაპარაკოთ,"** - ამბობს გრიზუნოვი.

მისი თქმით, სამი საკვანძო საკითხი, რასაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში დაძაბულობა შეაქვს - პანკისი, აფხაზეთის კვანძი და საქართველოს ნატო-სთან ურთიერთობები – გარკვეულწილად, მოგვარდა. საქართველომ ყველაფერი გააკეთა პანკისის პრობლემის გადასაჭრელად, რაც შეეხება ნატო-ს, რუსეთი ახლა უფრო ხშირად ნატო-სთან თანამშრომლობს, ვიდრე - საქართველოსთან, რჩება მხოლოდ აფხაზეთის პრობლემა.

"რუსეთი ურთიერთგამომრიცხავ ნაბიჯებს დგამს და აფხაზეთის პრობლემის მიმართ თავისი პოლიტიკა ვერ ჩამოაყალიბა, პოლიტიკური სპეკულანტები რაც შეიძლება დიდი ფულის გაკეთებას ცდილობენ, ყიდულობენ იქ ქონებას, რათა შემდეგ ისევ გაყიდონ. აფხაზები კი ამ ანკესზე ეგებიან. როდესაც ბალკანეთში ომი იწყებოდა, ხორვატიის სანაპიროზე ვილები ჩალის ფასად იყიდებოდა, შემდეგ კი ყველას მათი უკან დაბრუნება მოუხდა," - აღნიშნა გრიზუნოვმა "24 საათთან" საუბრისას.

კონფერენციაზე მყოფი რუსი ექსპერტების უმრავლესობა რუსული კაპიტალის საქართველოში შემოსვლას დადებითად აფასებს. **"რაო ეეს როსსიის" მიერ ენერგოობიექტების შესყიდვა, შესაძლოა, პოლიტიკური მიზნებით იქნას გამოყენებული, მაგრამ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს. როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში ქონებას ფლობ, შენ ამ ქვეყანაში სტაბილურობისა და წესრიგის არსებობით დაინტერესებული ხარ. ამ შემთხვევაში, შენი ქონება უფრო მეტი ღირს. ასე რომ, ვითარების დესტაბილიზაცია "რაო ეეს როსიისათვის" და თავად რუსეთისთვისაც ნაკლებ მომგებიანი იქნება"**, - ამბობს ფელგენჰაუერი.

"ახლა ჩუბაისისათვის საქართველოზე ძვირფასი მხოლოდ რუსეთია. იგი თვალისჩინივით გაუფრთხილდება საქართველოს. რაც მეტი წესიერი მეწარმე შემოვა, მით უფრო კარგი იქნება ყველაფრისათვის," - დარწმუნებულია გრიზუნოვი.

რაც შეეხება საქართველო-რუსეთისა და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის მომავალს, რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს დიდწილად ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების დინამიკაზე იქნება დამოკიდებული. ფელგენგაუერის თქმით, საქართველოსა და რუსეთში ბევრმა ყურადღება არ მიაქცია საქართველოში აშშ-ს ელჩის განცხადებას, რომ საქართველო-რუსეთს შორის არსებული პრობლემების გამო მათ რუსეთთან დაპირისპირება არ სურთ.

"თუ რუსეთი დაამტკიცებს, რომ აშშ-ს ერთგული მოკავშირეა, როგორც პოლონეთი ან დიდი ბრიტანეთი, შესაძლოა, ამერიკელებმა რუსეთს კავკასიის ზედამხედველის ფუნქცია დააკისრონ. მართალია, ჯერ-ჯერობით ეს ასე არ არის, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია," - მიიჩნევს ფელგენგაუერი.

თუმცა, რუსი ექსპერტების აზრით, მთავარი პრობლემა ისაა, რომ საქართველოსა და კავკასიის მიმართ რუსეთს ინტერესები არ განუსაზღვრავს. ამას გარდა, ამერიკა-რუსეთს შორის ურთიერთობებს დასრულებული სახე არ შეუძენია.

"ეს იმის ბრალია, რომ ხელისუფლებაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არიან ადამიანები, რომელთაც რუსეთის მომავლისა და მისი ინტერესების თაობაზე აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ," - აღნიშნავს პაველ ფელგენგაუერი.

სერგეი კორტუნოვი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიის შესახებ ამერიკა-რუსეთის საერთო პროექტი უნდა შეიქმნას. **"თუ ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობები შედგება, მაშინ შესაძლებელია, რომ დღის წესრიგში აფხაზეთის კონფლიქტის მთლიანად მოგვარებაც დადგეს,"** - ამბობს კორტუნოვი.

"ბრიტიშ პეტროლიუმის" ფარული მეწილეები საქართველოში

ვირველი გვერდიდან

ჭაბა ებანოიძე - მესაკუთრეთათვის ფულის წართმევის სქემის "აღმომჩენი".

დაჰპირდნენ მოსახლეობას მათი ქონების, ფულისა და საკუთრების უფლების დაცვას. ყოველ კონკრეტულ გარიგებაში "ბი-პი"-სა და კერძო მესაკუთრეს შორის მესამე მხარედ ჩართულია ასოციაცია. ის მესაკუთრეს საკუთარი მოთხოვნებისა და დოკუმენტაციის ჩამოყალიბებაში, მოგროვებასა და ნოტარიალურ დამოწმებაში ეხმარება. საბოლოო ხელშეკრულებები ფორმდება "საქართველოს ბანკის" რაიონულ ფილიალებში, სადაც ასოციაციის მიერ მობილიზებული ნოტარიუსები იმყოფებიან. როგორც ასოციაციის დირექტორი ჯაბა ებანოიძე ამბობს, ისინი ყოველთვის ურჩევენ მესაკუთრეს, მიღებული თანხის ძირითადი ნაწილი საბანკო ანგარიშზე დატოვონ, რომ მათი კაპიტალი უფრო უსაფრთხოდ იყოს. მაგრამ, მესაკუთრეების 20-მა პროცენტმა თანხა ბანკში მხოლოდ ახალციხის რაიონში დაიტოვა. ესეც იმიტომ, რომ კომპენსაციების გაცემა იქ თავდაპირველად დაიწყო და ტარიფიც ყველაზე მაღალია, შესაბამისად, მიღებული თანხები საშუალოდ 70-100 ათასი ლარის ფარგლებში იყო. ერთ მესაკუთრეს 250 ათას ლარამდეც კი ერგო და ამხელა თანხის ხელზე გამოტანას მართლა შეუშინდნენ. **"ვინც კომპენსაცია უკვე მიღო, მათ უმრავლესობას ფული ე.წ. ავტორიტეტებმა შეაწერეს. ასეა ახალციხისა და ბორჯომის რაიონებში. მაგრამ, ახლა მასობრივად იჩინა თავი სხვა ტიპის სამართალდარღვევებმა და მოხელეების მიერ ხელშეწყობილმა უკანონობამ. ტოტალურად ყალიბდება მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია იმ მონაკვეთებზე, სადაც კომპენსაცია ჯერ არ გაცემულა. სქემაში იმდენი ორგანოა ჩართული, რომ ვითარება უიმედოდ გამოიყურება,"** – სასოწარკვეთილია ასოციაციის დირექტორი ჯაბა ებანოიძე.

როდესაც სნსკ-მ საკუთარ თავზე აიღო მარშრუტის გასწვრივ არსებული ქონების ინვენტარიზაციის ვალდებულება, დაუშვა შეცდომა და მხოლოდ ახლა აღიარებს ამას. მიმდინარე წლის დასაწყისში "ბი-პი"-მ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დამცველ ასოციაციას სთხოვა მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის გადაწოდება და საკომპენსაციო გარიგებებში მესამე მხარედ მონაწილეობა.

როგორც ასოციაციაში გვაცნობეს, მხოლოდ აგვისტოს განმავლობაში თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონებიდან უკვე 15 განცხადება არის შესული მესაკუთრეობის უფლების დარღვევისა თუ ფულის უკანონო გამოძალვის თაობაზე. მაქინაციების მექანიზმის უკეთ გასაგებად საჭიროა მესაკუთრობის რეგისტრაციის პროცედურის ცოდნა. 1998 წლამდე საქართველოში დაშვებული იყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაკერძოება და ეს მიღება-ჩაბარების აქტით ფორმდებოდა. მფლობელს უფლება ჰქონდა, წარედგინა ეს აქტი საჯარო რეესტრში და ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო მიწის კანონიერ მფლობელად. მაგრამ დარეგისტრირების ვადა შემოსაზღვრული არ არის. შესაბამისად, ახლაც შესაძლებელია, რომელიმე ადამიანმა მსგავსი აქტი წარადგინოს და ის გახდება მესაკუთრის სერტიფიკატის გაცემის საფუძველი. მაგრამ, საქმე ისაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 1998 წლის შემდეგ აკრძალულია მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა მიწის გასხვისების შესახებ.

რაც შეეხება მესაკუთრეობის კანონიერების გაფორმებას: 2003 წლის მაისამდე საჯარო რეესტრის ადგილობრივი ორგანოები პირდაპირ ექვემდებარებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს და ფორმალურად მაინც დამოუკიდებელი იყო მიწის მართვის ადგილობრივი სამმართველოსგან. შესაბამისად, რეესტრში ჩანაწერები ჯერ აქტების საფუძველზე, მერე მიწის მართვის სამმართველოს მიერ გაცემული სერტიფიკატის, ხოლო სადავოობის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კეთდებოდა. 2003 წლის 2 მაისიდან კი მიწის მართვის დეპარტამენტმა "ეფექტიანობის" გასაზრდელად რეორგანიზაცია განახორციელა და რაიონული სამმართველოს უფროსს რეესტრის თავკაცობაც შეუთავსა. ამ თანამდებობის პირი კი რაიონის გამგებლის წარდგინებითა და დეპარტამენტის თავმჯდომარის ფორმალური დასტურით ინიშნება. ამ გადაწყვეტილების სამართლიანობა, თავის მხრივ, სასამართლოში განხილვის საგანია.

მოკლედ, მიწის მართვის მთელი უფლებამოსილებები დღევანდელი "პირუთვნელი" გამგებლების ხელში მოექცა და უკანონობის ვაკხანალიაც აჩქარებულად გაჩაღდა. სოკოებივით მომრავლდა 1998 წლით დათარიღებული ახალ-ახალ "გამომცხვარი" მიღება ჩაბარების აქტები, სწორედ იმ ნაკვეთებზე, სადაც "ბი-პიმ" კომპენსაციები უნდა გასცეს. არადა, მეტწილად ეს თვალნათლივ ყალბი დოკუმენტებია. მიწის მმართველები "პროფესიონალურად" გაყალბებასაც კი აღარ ცდილობენ და ამ აქტებს საერთო წესით 2000 წელს განახლებულ ბეჭდებს ურახუნებენ. შესაბამისად, უკვე მათ ხელთ არსებულ რეესტრში შესწორებები შეაქვთ. ადრინდელი მფლობელი ფაქტის წინაშე დგება. ახალი "მფლობელი", როგორც წესი, ხელისუფალთათვის სასურველი ადამიანია – მეტწილად, ნათესავი. დავის სასამართლოს წესით გადაწყვეტის მცდელობისას კი, ადრინდელ მფლობელს რაიონში "თეთრი" ან "შავი" გავლენის ადამიანები უმალ აგრძნობინებენ, რომ ეს შედეგს არ გამოიღებს. ჯიუტი მფლობელები თუ თავისას არ იშლიან, მაშინ ბრძოლის უპერსპექტივობაში თავად სასამართლოში რწმუნდებიან.

"როდესაც ჩვენ მოგვმართავენ, ბუნებრივია, ვეხმარებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთიანი კორუფციული სქემა ხელისუფლების ყველა შტოში ისე აწყობილად მოქმედებს, რომ სასამართლო პროცესი ორ წლამდეც კი გრძელდება და ამდენ ლოდინს გლეხს ისევ იმ ავტორიტეტებთან გარიგება და თუნდაც ნაკლები თანხის მიღება ურჩევნია," – ამბობს ჯაბა ებანოიძე.

გარიგება კი ასეთია: სანამ რეესტრში ისევ აღადგენენ კანონიერ ჩანაწერს, გლეხს მისაღები კომპენსაციის 30-40 პროცენტს სძალავენ. მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის საშუალო-სტატისტიკურ "მსხვერპლს" კი არჩევანს დროის სიმცირე აკეთებინებს – ან "ბი-პი" წლის ბოლომდე უხდის დაახლოებით 10 ათას ლარს "ახალ" მფლობელს და "ძველი" ორწლიანი სასამართლოს მერეც არ არის დარწმუნებული ამ თანხის მიღებაში, ან სარჩელზე უარს ამბობს, "ხარკს" იხდის და კომპენსაცია მასზე გაფორმდება, რადგან მისი მესაკუთრეობის უფლების ჩანაწერი რეესტრში უცბად "აღდგება".

"რაც უფრო იმატებს სამართალდარღვევები, მით უფრო პასიურები ხდებიან სამართალდამცავი და პასუხისმგებელი ორგანოები," – პირდაპირ აცხადებს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავკაცი. სამწუხაროდ, ამ განუკითხავ სახელმწიფოში ეს ძალიან ცოტას აშფოთებს. წარმოიდგინეთ, მიზერული საშანტაჟო 15-პროცენტიანი განაკვეთითაც კი, რამხელა მუქთა და "გაფორმებულ" შემოსავალზეა საუბარი იმ ერთიანი 13 მილიონიდან? თითქმის, ორი მილიონი ლარი. მართლაც, სერიოზული თანხაა.

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ დილით სახელმწიფო კანცელარიის წინ მიწისძვრით დაზარალებულები შეიკრიბნენ. ისინი მთავრობისგან კუთვნილ კომპენსაციებსა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან აკაკი ზოიძესთან შეხვედრას ითხოვდნენ. აქციის მონაწილეებს მოგვიანებით შეუერთდა მიწისძვრით დაზარალებულთა მეორე ჯგუფი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ სახელმწიფოსგან ბინების შესახებ მხოლოდ სიტყვიერი დაპირება მიიღეს, მათ ბინებში კი სამგორის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა საკუთარი ნაცნობ-ნათესავები შეასახლა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ვეტერინარიული გაერთიანება და სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური ორშაბათიდან, 8 სექტემბრიდან, ერთობლივ რეგულარულ რეიდებს იწყებენ.

ეს ღონისძიება მთელი ქალაქის ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიებზე ჩატარდება.

გასული კვირის განმავლობაში დედაქალაქში სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა ოთხი რეიდი ჩაატარეს. რეიდების დროს ამოღებული იყო 18 კილოგრამი ყველი, 5 კილოგრამი ხაჭო, 3 კილოგრამი ნადუღი, 17 ქილა მაწონი, 44 ცალი კვერცხი. გარემოვაჭრეებს ჩამოართვეს 1800 ცალი მეორადი მოხმარების პოლიეთილენის ბოთლი, რომელიც განადგურდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიას წარედგინა სკოლების შემოწმების შედეგები, რომლის მიხედვითაც, დედაქალაქის სკოლების უმეტესობა მოსაწესრიგებელია. 204 სკოლის შენობიდან 15 ავარიულ მდგომარეობაშია, 57 სკოლა კაპიტალურ რემონტს, 90 შენობა კი მიმდინარე შეკეთებას საჭიროებს. ფანჯრების მინები ჩასასმელია 14 სკოლაში, გათბობის სისტემები მოსაწესრიგებელია 101 სკოლაში. 100 ობიექტი წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების შეკეთებას საჭიროებს. 50 სკოლის ეზოს ტერიტორია არ არის შემოღობილი. 22 სკოლაში არ ფუნქციონირებს სპორტული დარბაზები. 20 სკოლაში შრომითი სახელოსნოები, კვების ბლოკები შესაკეთებელია 22 სკოლაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ცენტრალურ სუპერმარკეტში ხორცის რეალიზაციის წესების უხეში დარღვევები დაფიქსირდა. თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ცნობით, სუპერმარკეტის მოვაჭრეები ხორცს ღამის საათებში ვეტერინარიულ-სანიტარიული ექსპერტიზის გარეშე ყიდიან. მოვაჭრეები ხორცს მსუბუქი ავტომანქანების საბარგულებში ინახავენ, ხოლო დამუშავება პირდაპირ ასფალტზე ხდება.

ამ დარღვევების გამო სანიტარიულმა სამსახურმა სუპერმარკეტის ტერიტორიაზე მდებარე სამი ობიექტის – შპს-ეების - „მერანის“, „ანას“ და „პანას“ მუშაობის შეჩერება მოითხოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საერთაშორისო სემინარის მონაწილე გერმანელი ჟურნალისტები პარლამენტის პრესსამსახურის და დამოუკიდებელი მედიის საპარლამენტო ჟურნალისტებს შეხვდნენ. გერმანელი ჟურნალისტების 12-კაციანმა დელეგაციამ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს შენობა დაათვალიერა და შეეცადნენ ჟურნალისტების საპარლამენტო მუშაობის სპეციფიკას გაცნობოდნენ. გერმანელ ჟურნალისტებს აინტერესებდათ, რამდენად თავისუფალია ქართული პრესა და ახორციელებს თუ არა საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლება ზეწოლას ოპოზიციურ პრესაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გუშინ დედაქალაქის სკოლების დამსახურებულ პედაგოგებს ფულადი ჯილდოები და სამახსოვრო წიგნები გადასცა.

50-მა პედაგოგმა საჩუქრად მიიღო 50-50 ლარი და მწერალ ბადრი ქუთათელაძის წიგნი `თბილისის ქანდაკებები". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოს საძებნებლად მყოფმა მუშებმა და ხელოსნებმა გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს და გზის გადაკეტვითაც იმუქრებიან. ამის მიზეზი გახდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის უფროსის გადაწყვეტილება, რომლითაც მან მუშებს ავტომანქანების სავალ ნაწილზე დგომა აუკრძალა. პოლიცია აცხადებს, რომ სამუშაოს მაძიებლებს სამუშაო ინსტრუმენტები სავალ ნაწილზე ულაგიათ, რითაც ავარიულ სიტუაციებს ქმნიან. სამართალდამცველები მუშებს ბაზრობის ტერიტორიაზე, შემოღობილ ადგილზე გადანაცვლებას სთავაზობენ, რაზეც ისინი უარს აცხადებენ. მოგვიანებით, აქციის მონაწილეებს "ლეიბორისტებიც" შეუერთდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. როგორც "თბილწყალკანალში" აცხადებენ, დედაქალაქის წყალმომარაგების სათავე ნაგებობებზე ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში, თბილისის ზღვის წყალსაცავიდან თბილისის მოსახლეობა მხოლოდ 20 პროცენტით მომარაგდება. "თბილწყალკანალი" ზღვის წყალს მხოლოდ წყლის დეფიციტის დროს იყენებს, რადგან აღნიშნული წყალსაცავის მოცულობა ძალიან მცირეა. **ინტერ-პრესი**

"ბრიტანეთის ავიახაზებს" ანტისარაკეტო სისტემა სურს

ევროპის ერთ-ერთმა უდიდესმა ავიაკომპანიამ "ბრიტანულმა ავიახაზებმა" განაცხადა, რომ თვითმფრინავების მწარმოებლებთან – "ბოინგთან" და "ეარბასთან" - მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა მათ ავიაკომპანიის კუთვნილ თვითმფრინავებზე მიწაჰაერის ტიპის რაკეტების საწინააღმდეგო მოწყობილობა დაამონტაჟონ.

არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისრაელის კუთვნილი თვითმფრინავები ანტისარაკეტო მოწყობილობებით არის აღჭურვილი. ასე რომ, ნებისმიერ ტერორისტს, რომელსაც სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდება მობილური საზენიტო დანადგარის მეშვეობით მოუნდება, კოვზი ნაცარში ჩაუვარდება.

ანალიტიკოსების აზრით, ამ პროექტის განხორციელება ძალიან ძვირი დაჯდება. ამას გარდა, არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით, მცირე სიჩქარით მოძრავი თვითმფრინავის ასპროცენტიანი დაცვის უზრუნველყოფა შეუძლებელია.

გასული წლის ნოემბერში ისრაელის სამგზავრო თვითმფრინავს კენიაში ორი რაკეტა ესროლეს, მაგრამ ის აფეთქებას სასწაულებრივად გადაურჩა. ამან გაამყარა ის მოსაზრება, რომ ისრაელის კუთვნილი თვითმფრინავები ანტისარაკეტო სისტემით არის აღჭურვილი.

ტერორიზმის სპეციალისტების აზრით, ახლა ტერორისტების მხრიდან ყველაზე დიდი საფრთხე თვითმფრინავებს სწორედ ხმელეთიდან ემუქრებათ.

აშშ-მ ტერორისტების საბანკო ანგარიშები გაყინა

გუშინ აშშ-მ ექსტრემისტულისლამურ დაჯგუფება "ჯემაა ისლამიას" ათ წევრს საბანკო ანგარიშები გაუყინა. ამ ორგანიზაციას სხვაგვარად აზიურ "ალ-ქაიდასაც" უწოდებენ. "ჯემაა ისლამიას" მრავალი ტერაქტის განხორციელებაში ედება ბრალი, მათ შორის, ინდონეზიის კუნძულ ბალიზე ღამის კლუბში მომხდარი აფეთქების ორგანიზებაში, რომლის დროსაც 202 ადამიანი, მეტწილად, უცხოელი ტურისტები დაიღუპნენ.

ვაშინგტონმა გაერო-ს წევრ ქვეყნებს ამ ათი პიროვნების გვარები უკვე გადასცა და საერთაშორისო თანამეგობრობას ანალოგიური მოქმედებისკენ მოუწოდა.

ამ გადაწყვეტილების შესახებ გუშინ ტაილანდში მიმდინარე კონფერენციაზე, რომელიც წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას ეძღვნება, აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა ჯონ სნოუმ განაცხადა.

მან აზიელ კოლეგებს ამ მიმართულებით მჭიდრო თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი დახმარების გარეშე ვაშინგტონი ამ აქციას ვერ განახორციელებდა. **"ამ ტერორისტების სახელები წყნარი ოკეანის რეგიონში კარგადაა ცნობილი და აშშ-ს მთავრობამ ადგილობრივ სპეცსამსახურებთან კონსულტაციები გამართა, ვიდრე მათ ანგარიშებს გაყინავდა და ტერორისტთა სახელებს გაერო-ს გადასცემდა,"** - განაცხადა სნოუმ.

როგორც გაირკვა, ვაშინგტონი ამ ათი ტერორისტის სახელს მალე გამოაქვეყნებს. თეთრი სახლის განცხადებით, ამიერიდან ამ ხალხს აშშ-ში ფინანსური წყაროებისკენ ყველანაირი გზა გადაეკეტათ. თუკი გაერო-ს წევრი ქვეყნებიც თავ-თავიანთ ქვეყნებში ამ ტერორისტებს საბანკო ანგარიშებს გაუყინავენ, ისინი დაფინანსების გარეშე დარჩებიან.

შვარცნეგერი ქალებს აწუხებს

არნის ქალები პრობლემებს უქმნიან.

REUTERS

მართალია, კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში არნოლდ შვარცნეგერის მონაწილეობამ პოლიტიკოსებით თავმობეზრებული ბევრი ამომრჩეველი გაახარა, მაგრამ ზოგიერთები ჩივიან, რომ წარსულში მსახიობის განცხადებები და დამოკიდებულება ქალებისადმი მის მიმართ ეჭვებს აღძრავს.

ქალ ამომრჩეველთა ერთი ჯგუფის განცხადებით, ისინი საკრამენტოში დაგეგმილი წინასაარჩევნო კამპანიის დროს საპროტესტო აქციას გამართავენ.

"მე არ მაინტერესებს ის, რომ მის ნათქვამს ბევრი ეთანხმება, - ამბობს კარენ პომერი, გაუპატიურების მსხვერპლთათვის შექმნილი სპეციალური პროექტის ავტორი, - მე ის მაწუხებს, რომ ქალებს, რომლებსაც არ სურთ, ხელით შეეხონ, იგი მაინც ეხება. ეს ქალებს ამცირებს," - მიიჩნევს პომერი.

შვარცნეგერი დაქორწინებულია ჟურნალისტ მარია შრივერზე, რომელიც კენედების ოჯახის წევრია. მათ ოთხი შვილი ჰყავთ.

ამერიკულ მედიაში უკვე გამოქვეყნდა სტატიები, სადაც ამტკიცებენ, რომ ხალხთან შეხვედრის დროს შვარცნეგერი ხშირად ქალების მკერდს და სხეულის სხვა ნაწილებს მათი თანხმობის გარეშე ხელით ეხება.

"როიტერისათვის" მიცემულ უკანასკნელ ინტერვიუში მსახიობის საუკეთესო მეგობარმა ფრანკო კოლუმბუმ დაადასტურა, რომ ამგვარი შემთხვევები, მართლაც, მოხდა, მაგალითად, ერთ-ერთ ბრიტანელ ტელეწამყვანთან შეხვედრის დროს.

"არნოლდი ასეთია, ის ამგვარ რამეებს აკეთებს. ის ზოგჯერ ეუბნება ქალს, რომ ლამაზი ფეხები აქვს, მაგრამ არავის ზიანს არ აყენებს, - მეგობრის გამართლებას შეეცადა კოლუმბუ, - მათაც მოსწონთ ეს. არაფერი უადგილო მას არ გაუკეთებია."

შვარცნეგერმა საკუთარ თავლებს არ დაუჯერა, როდესაც რამდენიმე დღის წინ 1977 წელს მიცემული საკუთარი ინტერვიუ ხელახლა იხილა, სადაც ის ჯგუფური სექსის შესახებ ლაპარაკობს. თავდაპირველად მან ჟურნალისტებისათვის განმარტების მიცემას თავი აარიდა, მოგვიანებით კი განაცხადა, რომ ინტერვიუში მოყოლილი ამბავი თავად შეთხზა.

"1970-იანი წლები განსხვავებული დრო იყო. ჩვენ გამაღიზიანებელ რამეებს ვამბობდით, რომ გაზეთებს მოწინავე სტატიები ამის შესახებ დაეწერათ," - განმარტა არნოლდმა.

თუმცა, თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არნიმ არაერთხელ გააკეთა კომენტარი ქალებისა და სექსის შესახებ, რაც ბევრ ამომრჩეველს, შესაძლოა, არ მოეწონოს.

"ჩემი დამოკიდებულება ახლა რადიკალურად შეიცვალა. ადრე მე ქალებს მხოლოდ ერთი მიზნით ვუყურებდი. სექსი, უბრალოდ, სხეულის კიდევ ერთი ტრენაჟორი იყო," - წერს შვარცნეგერი თავის მემუარებში.

შვარცნეგერის საარჩევნო ჯგუფმა, არნის იმიჯის გადასარჩენად, ბონი რეისთან აღებული ინტერვიუ გაავრცელა, რომელიც შვარცნეგერის ოჯახის მეგობარია და მსახიობის მიერ დაარსებულ ფონდს ხელმძღვანელობს.

"ჩვენი 24-წლიანი მეგობრობისა და 10 წლის განმავლობაში მის მიერ დაარსებულ საბავშვო ფონდში მუშაობის დროს, სხვა ქალებისა და ჩემს მიმართ, პატივისცემის გარდა, არაფერი არ გამოუმჟღავნებია. არის ეს ქალის შეურაცხყოფა? მე სრულიად საპირისპირო აზრი მაქვს," - განაცხადა რეისმა.

"როიტერი"

საფრანგეთი და გერმანია ანგლო-ამერიკული რეზოლუციის წინააღმდეგ

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ აშშ-მ ერაყის შესახებ ახალი რეზოლუციის პროექტი გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების ელჩებს დაურიგა. როგორც ცნობილია, აღნიშნული დოკუმენტი ერაყის მართვის საკითხებში საერთაშორისო თანამეგობრობის როლს მნიშვნელოვნად ზრდის. თუმცა, საფრანგეთმა და გერმანიამ უკვე დააფიქსირეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ამ პროექტთან დაკავშირებით. ისინი მიიჩნევენ, რომ ერაყის საქმეებში გაერო-ს არასაკმარისი ფუნქცია ენიჭება.

გერჰარდ შრიოდერი და ჟაკ შირაკი გაერო-ს უშიშროების საბჭოში ბრძოლას საერთო ფრონტით აპირებენ.

REUTERS

ამასთან დაკავშირებით, ოფიციალური პარიზი ამზადებს დამატებით საკითხთა ნუსხას, რომელიც, ფრანგების მოთხოვნით, რეზოლუციაში აუცილებლად უნდა აისახოს. საფრანგეთის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ეს დამატებები დააჩქარებს ერაყელებისათვის ხელისუფლების გადაცემის პროცესს და ქვეყანაში გაერო-ს გავლენას გაამყარებს. დრეზდენში გამართული ფრანგულ-გერმანული სამიტის დროს, ორივე ქვეყნის ლიდერებმა განაცხადეს, რომ მათ ვაშინგტონის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი ამ სახით არ აკმაყოფილებთ და ისინი გაერო-ს უშიშროების საბჭოში კოორდინირებულად იმოქმედებენ. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პარიზის და ბერლინის აზრი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

თავისი პოზიცია უკვე რუსეთმაც დააფიქსირა. თუმცა, გერმანიისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, მოსკოვი ნაწილობრივ უკმაყოფილებას გამოთქვამს. მოსკოვი მოითხოვს, რომ საერთაშორისო სამშვიდობო ძალები ერაყში გაერო-ს მანდატით იქნენ აღჭურვილები და სამშვიდობო კონტიგენტის სტატუსი ამ ქვეყანაში უფრო კონკრეტულად იყოს განსაზღვრული, ვიდრე ეს ანგლო-ამერიკული რეზოლუციის პროექტშია ასახული. ამასთანავე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა, რომ ერაყში ვითარება საგრძნობლად უარესდება და ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ოპტიმისტურ განცხადებებს **"მსოფლიო თანამეგობრობა შეცდომაში შეჰყავს."**

როგორც ცნობილია, რუსეთს ერაყის სახელმწიფოს მშენებლობაში არა მარტო მნიშვნელოვანი როლის შესრულება სურს, არამედ მის მიზანს ერაყის ნავთობბაზარზე რუსული კომპანიების მყარად დაფუძნება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, საფრანგეთთან და გერმანიასთან ერთად, ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყების წინააღმდეგი იყო, ამჯერად, თუკი მისი ინტერესები გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული იქნება, ის ვაშინგტონის რეზოლუციის პროექტს მხარს დაუჭერს.

ვიდრე გაერო-ში დიპლომატები რეზოლუციის პროექტის განხილვით არიან დაკავებულნი, აშშ-ს თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი ერაყში თავის ვიზიტს განაგრძობს. მისი ვოიაჟის მიზანს ერაყში მრავალეროვნული კონტიგენტის ფორმირების საკითხის განხილვა წარმოადგენს.

ბაღდადში ჩასულმა რამსფელდმა ყველას გასაგონად და, ალბათ, გასაკვირადაც, განაცხადა, რომ ერაყში ვითარება აშკარად გამოსწორებულია მას შემდეგ, რაც ქვეყანაში სამხედრო ოპერაციების დასრულება გამოცხადდა. თუმცა, გუშინ ერაყში კიდევ ერთ, ამჯერად სუნიტურ მეჩეთზე თავდასხმა მოხდა. უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს ბაღდადში მდგარ მეჩეთს, რის შედეგადაც სამი ადამიანი დაიჭრა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უკვე რელიგიური შუღლის გაღვივების რეალური საფრთხის წინაშე დგას, რამსფელდი დარწმუნებულია, რომ ერაყში ვითარება უმჯობესდება.

დღეს, შესაძლოა, მაჰმუდ აბასის ზეობის ხანა დასრულდეს

ჰირველი გვერდიდან

ექსპერტები აბასის გამოსვლას არაფატისათვის ომის ღია გამოცხადებად აფასებენ. ორივე პოლიტიკოსი ძალაუფლებისათვის უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებს, მანამდე ეს ბრძოლა შედარებით უფრო შენიღბული იყო. თუმცა, აბასმა თავის სიტყვაში პალესტინის ადმინისტრაციის ლიდერი ცუდად მაინც არ მოიხსენია. ამასთანავე, მან არაფატს ერთგვარი რევერანსიც გაუკეთა, როდესაც სამშვიდობო გეგმის ჩაშლაში, არც მეტი არც ნაკლები, ისრაელი დაადანაშაულა და განაცხადა, რომ არ აპირებს სამშვიდობო გეგმის ძირითადი მოთხოვნების შესრულებას, რომელიც ტერორისტული დაჯგუფებების განიარაღებას ისახავს მიზნად.

"ჩვენი მთავრობა ოპოზიციასთან ურთიერთობას დიალოგის და არა პოლიციის საშუალებით ახერხებდა. ისინი ჩვენ გვიჯერებდნენ და თანამშრომლობდნენ ჩვენთან. ხოლო შარონის მთავრობის სამხედრო ხაფანგებმა პალესტინური რეალიზმის და მოტივაციის გაქრობა არ უნდა გამოიწვიოს," - განაცხადა აბასმა.

მან შეთანხმების დარღვევაში და კონფლიქტის ხელახალ ესკალაციაში ისრაელი დაადანაშაულა. **"პალესტინელები იმის მოწმენი გახდნენ, რომ ერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტის დემონტაჟი გაზეთების მთავარ სტატიებად იქცა; პალესტინელი პატიმრების გათავისუფლება კი მხოლოდ ფასიფიკაცია იყო. ებრაელები პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებების განხორციელებას განაგრძობდნენ, გამყოფი კედლის მშენებლობის ჩათვლით, რომელიც ყველას ბერლინის კედელს ახსენებს,"** - დასძინა აღშფოთებულმა პალესტინელმა პრემიერმინისტრმა.

რაც შეეხება იასირ არაფატთან მის ურთიერთობას, აბასმა განაცხადა, რომ ის არ უარყოფს მათ შორის უთანხმოების არსებობას ზოგიერთ საკითხებში. თუმცა, **"ამ წინააღმდეგობის გლობალურ განხეთქილებაში გადაზრდა არ შეიძლება,"** - განაცხადა აბასმა. ამასთანავე, პალესტინის პრემიერმინისტრმა არაფატს **"კონსტიტუციური"** და **"ისტორიული ლიდერი"** უწოდა. მან ისრაელს არაფატის რეზიდენციისათვის ბლოკადის მოხსნა მოსთხოვა და განაცხადა: **"პრეზიდენტ არაფატის ალყაში ყოფნა ჩვენ ეროვნულ ღირსებას ლახავს."**

მიუხედავად იმისა, რომ აბასს არაფატის საწინააღმდეგო განცხადება ღიად არ გაუკეთებია, როგორც პალესტინელები, ისე უცხოელი მეთვალყურეები მის მოთხოვნას უფლებების გაზრდის შესახებ არაფატისათვის ბრძოლის გამოცხადებად აფასებენ.

როდესაც პალესტინის პრემიერი პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოდიოდა, დარბაზთან რადიკალური პალესტინური დაჯგუფების "ალ-აქსას წამებულთა ბრიგადების" და მოძრაობა "ფათხის" ნიღბიანი წევრები შეიკრიბნენ და აბასის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგი გამართეს. ისინი ყვიროდნენ, რომ არაფატს სისხლით და ცეცხლით დაიცავდნენ. მიტინგს ისრაელის ციხეებში მყოფი პალესტინელი პატიმრების ახლობლებიც შეუერთდნენ. **"აბასი ამერიკელების ჯაშუშია, დაჰლანი – ცსს-ს (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) აგენტია,"** - სკანდირებდნენ მომიტინგეები. მათ პარლამენტის დარბაზის კარების შელეწვაც კი სცადეს, მაგრამ უიარაღო დაცვამ მათ ამის ნება არ მისცა. არაფატის მომხრეები მაშინვე დაიშალნენ, როდესაც ვიღაცამ დაიყვირა, რომ უშიშროების სამსახურის შეფს მოჰამედ დაჰლანს თითქოს მათი დაპატიმრების ბრძანება გაეცა. გუშინვე "ფათხის" წევრებმა გაავრცელეს საარგიტაციო ფურცლები, სადაც ისინი პარლამენტის წევრებს და პალესტინელებს აბასის კაბინეტის დამხობისაკენ მოუწოდებენ.

მაშინ აბასის, როგორც ისრაელთან ერთადერთი მომლაპარაკებლის მდგომარეობა მას შემდეგ შეირყა, რაც ამ ფუნქციის შესრულება ოფიციალურად არაფატის ერთგულ ჩინოვნიკს და დიპლომატიური ურთიერთობების ვეტერანს საებ ერექათს დაევალა. ექსპერტების თქმით, აბასზე კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა იქნება, თუკი პარლამენტი მის ერთგულ თანამებრძოლს – მოჰამედ დაჰლანს უშიშროების სამსახურის შეფობიდან გადააყენებს. ამით კი აბასის ზეობის ისტორია საბოლოოდ დასრულდება, რადგან პალესტინის ძალოვანი უწყებები არაფატის გარშემო მოიყრიან თავს. ცხადია, ასეთ ვითარებაში ჩაყენებული და უფლებააყრილი პრემიერის მოღვაწეობას აზრიც დაეკარგება. სწორედ ამიტომ, მან თავისი ბედი პალესტინელ კანონმდებლებს ანდო. ყველაფერი კი დღეს, პარლამენტში კენჭისყრის შედეგების შემდეგ გაირკვევა.

ბრიტანელებმა კოლუმბიურ კარტელს ძლიერი დარტყმა მიაყენეს

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ზაფხულში ბრიტანეთის სპეცსამსახურებს საკმაოდ დიდი ოპერაცია განუხორციელებიათ, რომლის დროსაც ექვსი მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების საეჭვო ამერიკული ფასიანი აქციები, შვიდი მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკების და ძვირფასი ნივთების დიდი პარტია დააკავეს. ეს ყველაფერი კი კოლუმბიური ნარკო-ფინანსური კარტელის საკუთრებას წარმოადგენდა. როგორც გაირკვა, ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას ნარკოტიკების დიდი პარტიები კოლუმბიიდან ევროპაში მექსიკის, ეკვადორის და სხვა ლათინური ქვეყნების გავლით გადაჰქონდა.

აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში, ბრიტანეთის სამართალდამცავებმა ლონდონსა და ესექსის საგრაფოში ორი ფართომასშტაბიანი რეიდი განახორციელეს. ოპერაციები ივლისის და აგვისტოს თვეში ჩატარდა. ხოლო ინფორმაცია ამის თაობაზე მასმედიაში მხოლოდ გუშინ გაჩნდა. ბრიტანელები ამ ფაქტს ოპერაციის კონსპირაციულობის მაღალი დონით ხსნიან. როგორც გაირკვა, ბრიტანელი სამართალდამცავები ოპერაციის მსვლელობის დროს აქტიურად თანამშრომლობდნენ კოლუმბიელ კოლეგებთან. **"ეს ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რადგან ამით ნარკოვაჭრობასა და ფულის გათეთრებაზე ძლიერი დარტყმა განხორციელდა,"** - განაცხადა კოლუმბიის პროკურატურის საგამოძიებო ბიუროს დირექტორმა გულკერმო ანიბალ ორტეგამ.

სპეცოპერაციას ბრიტანეთის მხრიდან ანტიკრიმინალური ერთვნული ბრიგადები მეთაურობდნენ. ოპერაციის დროს დაკავებულია 9 პიროვნება, რომელთაც ბრიტანეთში კოკაინის და ექსტაზის დიდი პარტიების შეტანაში ედებათ ბრალი. ისინი სასამართლოს წინაშე ნოემბერში წარდგებიან.

ანტიკრიმინალური ბრიგადების წარმომადგენლის თქმით, მათი სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ბრიტანეთის საბაჟო უწყებასთან. სწორედ ამ თანამშრომლობის წყალობით გახდა შესაძლებელი ექვსი მილიარდი ამერიკული აქციების ამოღება ივნისის თვეში. თუმცა, ექსპერტიზა, რომელმაც ამ ფასიანი ქაღალდების ნამდვილობა უნდა დაადასტუროს, ჯერ არ დასრულებულა. გარდა ამისა, აგვისტოში ჩატარებული რეიდის დროს კოლუმბიური კარტელის წარმომადგენლის სახლიდან ამოღებულ იქნა 55 ათასი ექსტაზის აბი და 15 კილოგრამი ამფეტამინების ფხვნილი.

ჩოგბურთი

დისკრიმინაცია

REUTERS

ანასტასია მისკინა: საჩოგბურთო ჩინოვნიკების უნიათობის მსხვერპლი

ნიუ-იორკში უჩვეულო ამბები ხდება. გადაუღებელმა წვიმამ ერთიანად მოშალა როგორც ტურნირის ორგანიზატორთა გეგმები, ისე ჩოგბურთელთა ნერვებიც და ჩინოვნიკებისა და სპორტსმენების ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა.

საქმე ის არის, რომ ტურნირის დაწყებამდე ორგანიზატორები თავს იწონებდნენ, წვიმის ალბათობა გათვალისწინებულია და, რაც უნდა მოხდეს, ტურნირი დათქმულ ვადაში დასრულდებაო, მაგრამ, რასაკვირველია, ამით საქმეს ვეღარ უშველიდნენ. ენინმა და კაპრიატიმ დიდი ძალისხმევის გარეშე დაამარცხეს მეტოქეები.

ვაჟთა თანრიგში ხანგრძლივი ნერვების წყვეტა შვეიცარიელი როჟე ფედერერის თამაშზე აისახა. ფედერერმა მეოთხედფინალის საგზური არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს დაუთმო. სწორედ ავდარსა და ტურნირის ორგანიზატორთა უნიათო მოქმედებას დააბრალა მარცხი ფედერერის პირადმა მწვრთნელმა.

ერთადერთ იმედად ტურნირზე დარჩენილ ჩოგბურთელებს ბუნების კეთილგანწყობა რჩებათ. მათ იმედი აქვთ, რომ წვიმა აღარ გაგრძელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეში სამ-სამი თამაშის ჩატარება მოუწევთ, ან შობას ნიუ-იორკში შეხვდებიან.

ნიუ-იორკი. ამერიკის ღია ჩემპიონატი.
"დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 5 156 000 დოლარი.
შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - პიტ სამპრასი (აშშ), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ).

ვაჟები. მერვედფინალი:

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 6) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი)	4:6, 6:2, 6:4, 6:2
დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 13) - როჟე ფედერერი (შვეიცარია, 2)	3:6, 7:6, 6:4, 6:3
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - ტოდ მარტინი (აშშ)	6:2, 6:4, 3:6, 5:7, 6:3
გილიერმო კორია (არგენტინა, 5) იონას ბიორკმანი (შვედეთი)	6:2, 6:3, 4:6, 6:2
სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 12) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 8)	6:1, 4:6, 6:3, 6:4
იუნეს ელ აინაუი (მაროკო) - კარლოს მოია (ესპანეთი, 7)	7:6, 7:6, 4:6, 6:4

ქალები. მერვედფინალი:

ანასტასია მისკინა (რუსეთი, 7) - მარი პირსი (საფრანგეთი)	7:6, 6:1
ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) - აი სუგიამა (იაპონია, 15)	6:7, 7:5, 6:2

მეოთხედფინალი:

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 1) - ამელი მორესმო (საფრანგეთი, 5)	6:1, 6:4
ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 2) - ანასტასია მისკინა (რუსეთი, 7)	6:2, 6:3
ლინდსი დევენპორტი (აშშ, 3) - პაოლა სუარესი (არგენტინა)	6:4, 6:0
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 6) - ფრანჩესკა სკიავონე (იტალია)	6:1, 6:3

TV-სპორტი

შაბათი. 6 სექტემბერი

НТВ + ФУТБОЛ
13:00, 15:35, 20:50 თავისუფალი დარტყმა
13:15 კალათბურთი. შვედეთი. ევროპის ჩემპიონატი. საბერძნეთი - ხორვატია
14:45 "ცხრიანი"
15:00 "ევროფანკლუბი". "მილანი"
15:50 ჰოკეი. ევროტური. შვედეთი - რუსეთი
18:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
18:55 ევრო 2004. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია - ფარერები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:05 ხვალინდელი პროგრამა
21:10 ევრო 2004. შესარჩევი მატჩი. უკრაინა - ჩრდ. ირლანდია პირდაპირი ტრანსლაცია
23:10 "გაიტანე!" ანდრეი შევჩენკოსთან ერთად
23:25 ევრო 2004. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია - ავსტრია პირდაპირი ტრანსლაცია
01:20 ევრო 2004. შესარჩევი მატჩი. ისლანდია - გერმანია

НТВ + СПОРТ
11:00, 17:10, 20:30 "პრესცენტრი"
11:15, 20:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებაზე (13:00) "პრესცენტრი"
15:10 WNBA. საკალათბურთო მიმოხილვა
15:40 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია. ვაჟები. რუსეთი - პოლონეთი
19:30 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან
20:00 "ბილიარდის მეფეები"
20:50 ხვალინდელი პროგრამა
20:55 კალათბურთი. შვედეთი. ევროპის ჩემპიონატი. რუსეთი - ესპანეთი
22:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებაზე ახალი ამბები
03:00 ამერიკული ფეხბურთის ფანკლუბი
03:30 სპორტული გლობუსი
04:00 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. გადაცემა კრასნოიარსკიდან
04:25 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი
04:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია.

EUROSPORT
11:30 ტელეჟურნალი. სუპერრბოლები უიქ-ენდზე
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალია
12:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
13:30 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
14:30 სუპერრბოლები უიქ-ენდზე. შვედეთის ტურნირი
15:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
18:00 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია
20:00 ველორბოლა. ესპანეთის ტური
21:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი
02:00 ევროსპორტის სიახლენი
02:15 ევრო 2004.
04:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალია
04:45 ევროსპორტის სიახლენი

ფეხბურთი

გამარჯვების ფორმულა: შეტევა, დისციპლინა, ინდივიდუალიზმი

მიხეილ აბაიშვილი

დღეს "შინდისფერები" ალბანეთის დამარცხებას შეეცდებიან

დღეს საქართველოს ნაკრები შეეცდება, პირველი ნაბიჯი გადადგას იმ თეორიული შანსისთვის ხორცშესასხმელად, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში დარჩენილი სამივე მატჩის მოგება რომ ჰქვია. თუმცა, ესეც კი არ იძლევა ჯგუფში თუნდაც მეორე ადგილზე გასვლის გარანტიას. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს ხვალინდელ მატჩში ერთი პრინციპული ამოცანა მაინც აქვს გადასაწყვეტი: "შინდისფერ ლეგიონს" ჩემპიონთა ლიგის პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანური "ტირანას" მიერ შერცხვენილი თბილისის "დინამოსთვის" რევანში აქვს ასაღები.

გუშინ თამაშისწინა ბოლო დილამ ჩვეულ ვითარებაში ჩაიარა. ნაკრები დილის 11 საათზე მივიდა ეროვნულ სტადიონზე და, შემაწუხებელი სიცხის მიუხედავად, დაგეგმილი ერთი საათის ნაცვლად, ფეხბურთელებმა 1,5 საათის განმავლობაში ივარჯიშეს. თუმცა კი, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე დღეს გუნდს მატჩი ელოდა, მწვრთნელებმა ფეხბურთელები სერიოზულ ფიზიკურ დატვირთვებს მოარიდეს.

შემახურებელი ვარჯიშების მცირე ციკლის შემდეგ ჟორდანიამ გუნდი ორ ნაწილად გაყო და ნახევარ მოედანზე... ხელბურთი ათამაშა. როგორც ერთი, ისე მეორე გუნდი მონინააღმდეგის კართან ბურთის ხელით მიტანას ცდილობდა, ოღონდ დამაგვირგვინებელი დარტყმა თავით ხორციელდებოდა.

ამ ვარჯიშის შემდეგ ბურთი უკვე "მიწაზე დაუშვეს" და ორმხრივი თამაში ფეხბურთისთვის უფრო ტრადიციული წესით გაგრძელდა, თუმცა, მოედნის ზომა არ შეცვლილა.

საწვრთნელი პროცესი დასრულდა თუ არა, გაიმართა პრესკონფერენცია, რომელშიც მთავარი მწვრთნელის მერაბ ჟორდანიას გარდა, მონაწილეობა მიიღეს შოთა არველაძემ და ნაკრების ახალწვეულმა, ლევან კორღალიძემ.

ეროვნული გუნდისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის მერაბ ჟორდანიას თქმით, გუნდი ყველა ასპექტში მზად არის საპასუხისმგებლო მატჩის ჩასატარებლად და განწყობაც მშვენიერია.

"განწყობა ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს ასეთი მატჩის წინ. ყველა ფეხბურთელი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით მოეკიდა ნაკრებში გამოძახებას და თბილისში სათანადო ფიზიკური კონდიციით ჩამოვიდა. საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობისას თავი არავის დაუზოგავს და, შემიძლია ვთქვა, რომ ნაკრები თამაშისთვის ბრწყინვალედ არის მომზადებული", - განაცხადა ჟორდანიამ.

დროებითი მთავარი მწვრთნელის თქმით, გამოძახებულთაგან მხოლოდ გოჩა ჯამარაულს აწუხებს ტრავმა, თუმცა, მისი საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არ არის.

"თამაშამდე კიდევ 24 საათი რჩება. ექიმები ჯერ გადაწყვეტით ვერ ამბობენ, შეძლებს თუ არა გოჩა მატჩში მონაწილეობის მიღებას. პირადად მე იმედი მაქვს, რომ ჯგამარაული მომჯობინდება და ალბანელთა წინააღმდეგ, თბილისში თუ არა, ტირანაში მაინც აუცილებლად დაგვეხმარება", - აღნიშნა მან.

ჟორდანიას არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ სათამაშო სქემას აირჩევს, თუმცა, არც ის დაუმალავს, რომ ჩვენი გუნდის სათამაშო ტაქტიკა შეტევაზე იქნება ორიენტირებული.

"აუცილებლად შემტევ ტაქტიკას მივმართავთ. ამ შეკრებაზე ჩემი მთავარი მიზანი ისიც იყო, რომ თითოეული ფეხბურთელისთვის კარგად ამეხსნა იმ ტაქტიკური სქემის არსი, რომლის გამოყენებასაც ვაპირებთ. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით შედეგს უკვე მივაღწიე. რაც შეეხება ძირითად შემადგენლობას, გუნდის ბირთვი უკვე შერჩეული მაქვს, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, სასტარტო შემადგენლობის 11 ფეხბურთელს არ დავასახელებ", - კონსპირაცია ამჯობინა მწვრთნელმა.

ჟორდანიას დაეთანხმა შოთა არველაძეც, რომელიც წარმატების გასაღებს შემტევ ტაქტიკაში ხედავს.

"ალბანეთის ნაკრები ნებისმიერი გუნდისთვის უხერხული მეტოქეა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი პოტენციური აუტსაიდერია, მიმდინარე შესარჩევ ციკლში საკუთარ მოედანზე ერთი მატჩიც არ დაუთმია, გასვლით შეხვედრებში კი გაცილებით გამოცდილ და ტიტულოვან მეტოქეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ალბანელები ძალისმიერ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და მოედანზე მკაცრი დისციპლინით გამოირჩევიან, რისი მთავარი გარანტიც მათი გერმანელი მწვრთნელია. მათთან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს გამარჯვების იმედი, თუ ორგანიზებულად, მკაცრი დისციპლინით ვითამაშებთ და შემტევ ტაქტიკას მივმართავთ. ეპიზოდურად არც ქართული ფეხბურთისთვის დამახასიათებელ იმპროვიზაციასა და ინდივიდუალურ გამოვლინებებზე უნდა ვთქვათ უარი, რადგან თანამედროვე ფეხბურთში ძალიან ხშირად სწორედ ასეთი თამაშის მანერით მიიღწევა შედეგი", - მიაჩნია "გლაზგო რეინჯერსის" თავდამსხმელს.

ისტორიული დღე

მიხეილ აბაიშვილი

ამიერიდან ყორდანია და თოფაძე აქტიურად ითანამშრომლებენ

"5 სექტემბერი ქართული ფეხბურთისთვის, მართლაც, ისტორიული დღეა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია "ყაზბეგს" შორის შედგა საბოლოო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ეს კომპანია სფფ-ს და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი ხდება. ეს ჩვენთვის პირველი პრეცედენტია. "ყაზბეგი" იმდენად მნიშვნელოვანი ფინანსური ინვესტიციებით დაგვეხმარება, რომ ქართული ფეხბურთისთვის მრავალ ძალზე სერიოზულ პროექტს განვახორციელებთ", - ეს განცხადება სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინ დიდ დიღომში მდებარე ქართული ფეხბურთის ტექნიკურ ცენტრში ბიზნესმენ გოგი თოფაძის თანდასწრებით გააკეთა. ამ საზეიმო მოვლენას ესწრებოდნენ ალბანეთთან საკვალიფიკაციო მატჩისთვის შეკრებილი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და მისი პირველი მოადგილე დავით გობეჯიშვილი.

ქართული სპორტისთვის გაწეული უანგარო დახმარება გოგი თოფაძისთვის უცხო ნამდვილად არ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონი გოგი სპორტის ზამთრის სახეობების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია და ეს ძვირად ღირებული სპორტი პირადად თოფაძის ჯიბეზეა გამობმული.

"საქართველოში სპორტის სახეობა არ არის, გოგი თოფაძე რომ არ დახმარებოდა. ბატონი გოგი რომ არა, ქართული სპორტი დღეს გაცილებით მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა. ამისთვის მას არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ქართული საზოგადოებრიობის დიდი მადლობა ეკუთვნის", - აღნიშნა ირაკლი მეძმარიაშვილმა.

თავად თოფაძე მიიჩნევს, რომ ქართულ ფეხბურთში თუ, საერთოდ, სპორტში ეროვნული ბიზნესი სერიოზულ ინვესტიციებს არ უნდა ერიდებოდეს.

"ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ სპორტს, არამედ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბევრ დარგსაც ვერ აფინანსებს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში სპორტის სხვადასხვა ფედერაციას სხვადასხვა ბიზნესი აფინანსებს. უმნიშვნელოვანესია ის, რომ ჩვენთან ეროვნული ბიზნესი ეროვნული სპორტის სამსახურში ჩადგეს. კომპანია "ყაზბეგი" ამისთვის ცოტას არ აკეთებს. მოხარული ვიქნები, თუ ეროვნული ბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც დაინტერესდებიან ამ სფეროთი", - ასე ფიქრობს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომპანიის დამაარსებელი.

მართალია, სფფ-ს და "ყაზბეგის" ურთიერთობა ჯერ იურიდიულად გაფორმებული არ არის, მაგრამ ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება და, რაც მთავარია, გოგი თოფაძის განცხადებით, ეს იქნება უვადო თანამშრომლობა, ანუ "სანამ იარსებებს კომპანია "ყაზბეგი", იგი მუდმივად ქართული ფეხბურთის გვერდში იდგება".

შთამბეჭდავი პირობაა. ქართველ ფეხბურთელებს "ყაზბეგის" მხრიდან ამ ხელგაშლილი ჟესტისთვის სამაგიეროს გადახდა ახლავე შეუძლიათ – დღეს, 20 საათზე, საქართველოსა და ალბანეთის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს.

ბრიგელი არ გველაპარაკება

აკა ტონია

იმედია ბრიგელს საუბრის სურვილი არც დღეს საღამოს ექნება

საქართველოში კარგად ახსოვთ ჰანს პეტერ ბრიგელის საფეხბურთო კარიერა. დასავლეთ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ის წამყვანი ფეხბურთელი იყო მათეუსის, ფიოლერის, ლიტბარსკის გვერდით და მათ შორის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შეუპოვარი, "ჟილკიანი"... ბოლო ვიზიტიდან 15 წლის შემდეგ ბრიგელი ისევ გვეწვია, ამჯერად ალბანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის რანგში.

ალბანეთის დელეგაცია თბილისს გუშინწინ ესტუმრა. გუნდმა იმავე დღეს ჩაატარა ვარჯიში "შევარდენის" სტადიონზე, რომელსაც ქართველი ჟურნალისტებიც დაესწრნენ. მატჩისწინა პრესკონფერენციის გამართვა ფეხბურთში მიღებული წესია, რომელსაც თითქმის ყოველთვის იცავენ. ბრიგელმაც აღგვითქვა, რომ მეორე დღეს (ანუ გუშინ), პირველ საათზე, სასტუმრო "მერიოტში" პრესკონფერენციას გამართავდა. დათქმულ ადგილზე შევიკრიბეთ და ალბანელებს დავუდარაჯდით. სასტუმროს ადმინისტრაცია გვარწმუნებდა, რომ იქ არავითარი პრესკონფერენცია არ იყო დანიშნული და რომ ამ დროს სტუმრებს სადილი, ეგრეთ წოდებული "ლანჩი" ჰქონდათ დაგეგმილი. ბრიგელი სიტყვას არ გატეხს, – ვიფიქრეთ და ფეხიც არ მოგვიცვლია. როგორც იქნა, სასტუმროს წინ ჩამოდგა ალბანეთის ნაკრების წევრებით სავსე ავტობუსი – ეტყობა, ქალაქის დასათვალიერებლად იყვნენ წასული. გამოჩნდა ბრიგელიც, რომელსაც შესასვლელშივე შევეგებე და პრესკონფერენციის შესახებ ვკითხე. ცივი უარი მივიღე – არავითარი პრესკონფერენცია არ ყოფილა დაგეგმილი. გაირკვა, რომ ალბანელთა გერმანელი მწვრთნელი ჟურნალისტებს 18 საათზე დანიშნული ვარჯიშის შემდეგ გაგვესაუბრებოდა. გაუგებრობისგან არავინაა დაზღვეული. ეტყობა, ბრიგელს არასწორად გავუგეთ. იმ იმედით, რომ ალბანელთა დამრიგებელს საღამოს ვარჯიშის შემდეგ შევხვდებოდით, სასტუმრო დავტოვეთ.

პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ალბანელთა ავტობუსი დროულად, ზუსტად 18 საათზე მივიდა. სტუმრები მაშინვე საქმეს შეუდგნენ – დღევანდელი მატჩისთვის უკანასკნელი ვარჯიში გამართეს. თამაშის წინა დღეს დიდ დატვირთვას თითქმის ყველა გუნდი ერიდება. გამონაკლისი არც ბრიგელი ყოფილა – მან თავის ფეხბურთელებს, ძირითადად, ბურთით ვარჯიში დაავალა. ალბანელებმა რამდენჯერმე 100-100 მეტრი გაირბინეს. შემდეგ კი ბურთის შენარჩუნებაში ვარჯიშობდნენ (ბავშვობაში ამას "პამპულობანას" ვეძახდით). იქვე გავარკვიეთ, რომ ალბანელთა "დამრტყმელი ძალა", იტალიური "ბოლონიას" თავდამსხმელი იგლი ტარე თბილისში ვერც გუშინ ჩამოფრინდა. ამბობენ, ტარე დღეს, დღის პირველ ნახევარში ჩამობრძანდებაო. საყურადღებო ამბავია: ვაითუ, თვითმფრინავმა დაიგვიანოს და იგლი ტარემ მხოლოდ მატჩის მეორე ტაიმს მოუსწროს?

ვარჯიში ზუსტად ერთ საათში დასრულდა. რამდენიმე ქართველმა ბრიგელი მათთან ერთად ფოტოს გადაღებაზეც კი დაიყოლია. ყველანი პრესკონფერენციისთვის ვემზადებით. გერმანელ მწვრთნელს საკონფერენციო დარბაზში უხმეს. მანაც თავი დაუქნია და... ავტობუსისკენ გაეშურა. ჟურნალისტებთან შესახვედრად ბრიგელმა ვერც ვარჯიშის შემდეგ მოიცალა.

ახლა უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: გაუგებრობა არაფერ შუაშია, ბრიგელს, უბრალოდ, არ სურდა ჩვენთან საუბარი. როდესაც საქართველოს ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა ვალერი გაზაევი. ნეტა, დღევანდელი მატჩის შემდეგ თუ იქნება ბრიგელი პრესკონფერენციის გუნებაზე?!

ინფორთეკა

ფეხბურთი. ირლანდიის ნაკრებმა რუსებთან თამაშის წინ "ლენსდაუნ როუდზე" უკანასკნელი ვარჯიში გამართა. ირლანდიელთა მთავარი მწვრთნელი ბრაიან კერი მინდვრის ხარისხით და თავისი ფეხბურთელების მზადყოფნით კმაყოფილი დარჩა და განაცხადა: "მე ვიცნობ ჩვენს ნაკრებს. ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი თამაში აქვთ ჩასატარებელი". კერმა ჟურნალისტებს ისიც შეახსენა, რომ რუსებთან და შვეიცარიელებთან გამარჯვება მის გუნდს ჯგუფში პირველობას გაუნაღდებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბოლნისის "სიონის" შემბღალავმა სლოვაკეთის "პუხოვმა" გადაწყვიტა, უეფას თასის პირველი წრის მატჩი ესპანური "ბარსელონას" წინააღმდეგ ქალაქ ტრნავაში გამართოს. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ სახელგანთქმული "ბარსელონა" სლოვაკეთში, რაც შეიძლება, მეტმა მაყურებელმა იხილოს. შეგახსენებთ, რომ პუხოვის არენა 6600 გულშემატკივარს იტევს. ტრნავაში ფეხბურთის ყურებას 186000 ადამიანი შეძლებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. გაირკვა ზოგიერთი დეტალი ფერნანდო მორიენტესის "მონაკოში" გადასვლის შესახებ. მორიენტესს ინგლისის, გერმანიისა და იტალიის კლუბებიც ეპატიჟებოდნენ. თუმცა, ფორვარდმა საფრანგეთი ამჯობინა. "მონაკოში" მისი გადასვლის ერთ-ერთი მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ კლუბის მწვრთნელი დიდიე დეშამი ესპანურ ენას კარგად ფლობს. რაც შეეხება მადრიდის "რეალიდან" წასვლას, ეს ფაქტი მორიენტესმა რონალდოს მოსვლის შემდეგ არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკით ახსნა.

■ ■ ■

ფეხბურთი. დევიდ ბექჰემი ითამაშებს მაკედონიის ნაკრების წინააღმდეგ. ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ბექჰემს მცირე ტრავმა აწუხებდა, ამიტომ ნაკრებში მისი თამაში სათუო იყო. ტრავმის გამო "რეალის" ნახევარმცველმა ხუთშაბათს ინგლისის ნაკრების ვარჯიშიც კი გამოტოვა. სამაგიეროდ ძალების აღდგენა მოახერხა. ამას გარდა, ბექჰემმა განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მაკედონიის გუნდის უგულებელყოფა. ფეხბურთელის თქმით, მაკედონიელთა არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა ფორტუნის ბრალია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბელგიის ნაკრებისა და შოტლანდიის "სელტიკის" ფეხბურთელი იოს ვალგარენი თავის ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება ხორვატთა წინააღმდეგ მატჩში. ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. ადვილი შესაძლებელია, ხორვატთა წინააღმდეგ მბო მპენზამაც ვერ ითამაშოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა მარსელ დესაიმ შეაქო თავისი კლუბის, ლონდონის "ჩელსის" ახალი მფლობელი რომან აბრამოვიჩი. "მისი ყველა ნაბიჯი გააზრებულია. თუ მის მოღვაწეობას ყურადღებით გააანალიზებთ, მიხვდებით, რომ ეს ადამიანი სულაც არ არის გიჟი. ამას გარდა, მას ოჯახი და ოთხი შვილი ჰყავს", - თქვა "ჩელსის" მცველმა. ამ სეზონში "ჩელსის" მიზნებზე დესაიმ განაცხადა: "ჯერჯერობით გუნდში ჩემპიონობაზე არავინ საუბრობს. ჩვენ, უბრალოდ, გვსურს, გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს".

■ ■ ■

ოლიმპიზმი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ სამიოდე წლის წინათ შეიძლებოდა, საბერძნეთს ჩამორთმეოდა ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. "მაშინ ძალიან ცოტა რამ იყო გაკეთებული ოლიმპიადის ჩატარებისთვის და ჩვენ, მართლაც, ვღელავდით. იძულებული გავხდით, საბერძნეთისთვის გვეჩვენებინა ყვითელი ბარათი, რომელიც შეიძლება მერე გაწითლებულიყო კიდეც". სამარანჩმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა გამოასწორა ანა ანგელოპულოსმა, რომელიც ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს კრიტიკულ მომენტში ჩაუდგა სათავეში და საბერძნეთს თამაშები შეუნარჩუნა.

■ ■ ■

ფორმულა 1. Williams-ის პილოტი რალფ შუმახერი დარწმუნებულია, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას იტალიის გრანპრიში, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება. ეს ასე იქნება, მიუხედავად იმ სერიოზული ავარიისა, რომელიც მას სამშაბათს მონცაში შეემთხვა. "ამჟამად ჩემთვის მნიშვნელოვანია, კონცენტრირება მოვახერხო და სპორტული ფორმა 100 პროცენტით აღვიდგინო, - განაცხადა მრბოლმა, - ასეთი ავარიების არ მეშინია და არავითარი ეჭვი არ არსებობს საიმისოდ, რომ მომავალ კვირაში გრან-პრის გამოვტოვებ".

■ ■ ■

ჰოკეი. "ნიუ-იორკ რეინჯერსის" მოთამაშემ მარკ მესიემ განაცხადა, რომ ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში მაინც გაატარებს 25-სეზონს. "მე მთელი ზაფხულის განმავლობაში ვეკითხებოდი თავს, ღირს, თუ არა ამის გაკეთება? ასე დადგა ივლისი, შემდეგ - აგვისტო. და მე გადავწყვიტე, რომ დავრჩები და ამის შესახებ კლუბის მთავარ მენეჯერს, გლენ სატერუს შევატყობინე". 42 წლის მესიემ ისიც განმარტა, რომ მის კარიერაში უკანასკნელი სეზონი შეიძლება არც იყოს უკანასკნელი.

25 ქალი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა

ბერტა ფონ ზუტნერი

რა აქვთ საერთო ჰატშეფსუტს, კოკო შანელს და ჰილარი კლინტონს – ცხადია, სქესის გარდა? ქალთა "ჟურნალმა" თავის 25-ე იუბილეს აღსანიშნავად 3 სექტემბრის გამოშვებაში 25 სახელისგან შემდგარი სია გამოაქვეყნა, რომელშიც კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალები არიან შესული, ქალები, რომლებიც დღესაც აღტაცებას იწვევენ და მრავალთათვის მისაბაძი მაგალითი არიან.

1. ჰატშეფსუტი, რომელიც 3500 წლის წინათ, 15 წლის ასაკში, ფარაონი გახდა;

2. ჰილდეგარდ ფონ ბინგენი, ბენედიქტელი მონაზონი,

სიმონ დე ბოვუარი

ფილოსოფოსი;

3. ჟანა დ`არკი, "ორლეანელი ქალწული", მწვალებლობისთვის კოცონზე დამწვარი და 1920 წელს წმინდანად შერაცხული;

4. ინგლისის დედოფალი ელისაბედი, რომლის 45-წლიანი მეფობის დრო ქვეყნის "ოქროს ხანადაა" ცნობილი;

5. დიდი მეცნიერი მარი კიური;

6. ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტა ფონ ზუტნერი;

7. ექიმი და პედაგოგი მარია მონტესორი;

8-9. ქალთა მოძრაობის ლიდერები სიმონ დე ბოვუარი და ალისა შვაიცერი;

ვალენტინა ტერეშკოვა

10. კალტერონ ს. ფიორინა, კონცერნ "ჰიულეტ პაკარდის" ყოფილი ხელმძღვანელი;

11. საბჭოთა კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა;

12. გენური კვლევების ექსპერტი ქრისტიანა ნიუსელაინ-ფოლჰარდი;

13. პოპ-ვარსკვლავი მადონა;

14. აშშ-ს სენატორი ჰილარი კლინტონი;

15. მოდელიორი კოკო შანელი;

16. ტელევარსკვლავი ოფრა ვინფრი;

17. სექსოლოგი შერ ჰაიტი;

18. საავტომობილო საქმის პიონერი ბერტა ბენცი;

კოკო შანელი

19. საავიაციო საქმის პიონერი ამელია ერჰარტი;

20-21. ჩრდილო ირლანდიაში მშვიდობისათვის მებრძოლი მეირიდ კორიგანი და ბეტი ვილიამსი;

22. ელიზაბეტ ზელბერტი, თანასწორუფლებიანობისთვის მებრძოლი ადვოკატი;

23. ფეით პოპკორნი, პოპ-კულტურის ვარსკვლავი;

24. სოფი შოლი, წინააღმდეგობის მებრძოლი და "თეთრი ვარდის" წევრი;

25. ულრიკე ვოლფი, ტელეწამყვანი და ARD-ს პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი.

ამელია ერჰარტი

მუსიკალური არდადეგები დამთავრდა

დედაქალაქი ახალი მუსიკალური სეზონისთვის ემზადება

მადი სერებრიაკოვა

ახალი საკონცერტო-თეატრალური სეზონისთვის კლასიკური მუსიკის შემოქმედნი და მოყვარულები თავისებურად ემზადებიან. თუ ზაფხულში მუსიკალურ მოვლენათა ცენტრმა რეგიონებისკენ გადაინაცვლა (ფესტივალი "ხელოვნების ზეიმი" ბორჯომში, "აიდა" და "რეკვიემი" მოსკოვის დიდი თეატრისა და ვენის თეატრის ქართველი სოლისტების შესრულებით ბათუმში და ა.შ...), ამ სეზონზე ის კვლავ დედაქალაქში დაიდებს ბინას. თბილისის საკონცერტო და თეატრალური დარბაზები მსმენელსა და მაყურებელს ახალ ფესტივალებს, საოპერო და საბალეტო პრემიერებს, ადგილობრივ და საგასტროლოდ ჩამოსულ მუსიკოსთა კონცერტებს სთავაზობენ.

რა შეიცვლება და რა იქნება განსაკუთრებული ქართულ მუსიკალურ ცხოვრებაში ამ სეზონზე?! საკონცერტო დარბაზებში უკვე დაწყებული ფაციფუცით თუ ვიმსჯელებთ, სეზონისთვის მეტ-ნაკლებად ყველა ემზადება, თუმცა დაზუსტებული გეგმებსა და პროექტებზე მსჯელობისგან ისევ თავს იკავებენ. როგორც სხვა ყველაფერი, კლასიკური საშემსრულებლო ხელოვნებაც საქართველოში დღემდე, ძირითადად, პიროვნულ ენთუზიაზმსა და ექსპრომტებზე დაყრდნობით ვითარდება. დასავლური მუსიკალური სივრცისგან განსხვავებით, სადაც საკონცერტო და თეატრალური განრიგი რამდენიმე წლით ადრეა გაწერილი, ჩვენს სინამდვილეში ზუსტი თარიღები და პროგრამები ერთი თვის განმავლობაშიც ძნელი დასადგენია. ნეტავ, მხოლოდ ეს იყოს იყო პრობლემა. ცალკეული დასის თუ ორკესტრის აღმავლობის მიუხედავად (სოლისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ყველაზე მძლავრი კოლექტივებიც კი მუდმივად გაუქმებისა და დაშლის საფრთხის წინაშე დგანან. რად ღირს თუნდაც ის, რომ უსახსრობის გამო, ოპერაში ლამის ტრადიციად დამკვიდრდა ახალი სპექტაკლების ძველი, გადაკეთებული და ჩაკერებულ-ჩავიწროებული დეკორაციებით და კოსტიუმებით დადგმა. მიუხედავად ყველაფრისა, კლასიკური ხელოვნების ყველა მნიშვნელოვანი სეგმენტი სეზონისთვის მაინც ბეჯითად ემზადება.

სიმფონიური მუსიკის სფეროში სეზონის ყველაზე მასშტაბურ მოვლენად, ალბათ, კვლავ სიმფონიური მუსიკის ცენტრში ტრადიციული ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" გახდება. ფესტივალის მზადების პროცესი და კონკრეტული დეტალები, ალბათ, ცაკლე სასაუბრო თემაა, თუმცა, ისევე როგორც შარშან, ფესტივალი წელსაც მნიშვნელოვანი უცხოელი სოლისტების სტუმრობას და დასავლეთში დამკვიდრებულ თანამემამულეთა დაბრუნებას გვპირდება: საბაბს სიამაყისთვის ამჯერად ლა სკალას თეატრის სტაჟიორები გია ონიანი და ნინო სურგულაძე მოგვცემენ. კარდიფის კონკურსიდან დაბრუნებულმა სურგულაძემ და "დომინგო ოპერალიას" ფინალისტმა გია ონიანმა რეპეტიციები თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და მთავარ დირიჟორ ვახტანგ კახიძესთან უკვე აგვისტოში გაიარეს და ამჟამად კვლავ იტალიის რამოდენიმე თეატრში მართავენ სპექტაკლებს. ფესტივალს სწორედ სურგულაძე-ონიანის ტანდემი დახურავს სცენებით ბიზეს "კარმენიდან". მსმენელმა, შესაძლოა, შარშანდელი დახურვის ანალოგიური ღონისძიება - ლადო ათანელისა და ირმა ბერძენიშვილის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული სცენები გაიხსენოს "მაკბეტიდან". დახურვისათვის მომზადებულ საოპერო ღონისძიებას თუ არ ჩავთვლით, ფესტივალის ძირითადი აქცენტი ტრადიციულად მაინც სიმფონიურ, ინსტრუმენტულ მუსიკაზე იქნება გაკეთებული. ორკესტრი და მისი ხელმძღვანელობა ამჟამად

ოპერა ახალი სეზონისთვის ემზადება.

კონსერვატორია სეზონისთვის მზად არის.

ნინო ლეკიშვილის ფოტო

რეპეტიციებითა და რეპერტუარისა და სოლისტების დაზუსტებით არის დაკავებული. ფესტივალი ტრადიციულად სექტემბრის ბოლოს გაიხსნება.

მნიშვნელოვან გასტროლიორებს გვპირდება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. 16-17 სექტემბერს თბილისს პეტერბურგის მარიას თეატრის საბალეტო დასი ეწვევა. სოლისტები ირმა ნიორაძე, ირინა პირენი, იულია მახალინა, იგორ ზელენსკი, ევგენი ივანჩენკო და ილია კუზნეცოვი გარდა ცნობილი საბალეტო ნომრებისა, ახალი ბალეტის პრემიერასაც წარმოგვიდგენენ. ჯონ ადამსისა და გევინ ბრაიერის "მადამ ლიონელი" მოსკოვის დიდ თეატრში დაგეგმილ პრემიერამდე თითქმის ერთი თვით ადრე თბილისში შესრულდება.

მიუხედავად ამ მასშტაბური ღონისძიებისა, ოპერის თეატრი სეზონს ოფიციალურად მაინც მოგვიანებით, ოქტომბრის დასაწყისში გახსნის. მრავალწლიანი ტრადიციისამებრ ახალი საოპერო სეზონი ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერით" დაიწყება. გარდა რეპერტუარში დამკვიდრებული 15 საოპერო და ასევე საბალეტო სპექტაკლისა, ამ სეზონზე ორი პრემიერაც იგეგმება. პუჩინის "ბოჰემა" უკვე კარგა ხანია მზადდება და თეატრის ძველი სოლისტების გარდა მთავარ პარტიებში დებიუტანტებსაც შევხვდებით. თეატრი საბალეტო ჟანრის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას - ჰინდემიტის ბალეტის პრემიერასაც შემოგვთავაზებს, რომელიც ადგილობრივი დასის ძალებით ხორციელდება.

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გურამ მელივა აღნიშნავს, კვლავ შენარჩუნდება ბოლო პერიოდში გამოკვეთილი ტენდენცია: თეატრი ორიენტაციას ახალ თაობაზე აიღებს. ამისთვის თეატრში გარკვეული ორგანიზაციული ცვლილებებიც იგეგმება. სარედაქციო კოლეგია, რომელიც ახალგაზრდა დრამატურგებით, მხატვრებით, რეჟისორებითა და სხვა სპეციალისტებით დაკომპლექტდება, თეატრის ახალი სახის შექმნაზე იზრუნებს.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის აქტივობაც. უსახსრობისა და, უბრალოდ, უსახლკარობის გამო მარგინალიზებულმა ორკესტრმა გასულ სეზონზე მაინც შეძლო რამდენიმე მეტად საინტერესო აქციის განხორციელება და ოპერის თეატრს შეკედლებული წელსაც აგრძელებს მუშაობას.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი სეზონს 15 სექტემბერს კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის კონცერტით გახსნის. ეს ღონისძიება ორკესტრის გასტროლებს უკავშირდება, რომელსაც ეს უკანასკნელი ბონში მართავს ბეთჰოვენის ცნობილ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. კონსერვატორიის დიდი დარბაზი ამ სეზონზეც შეითავსებს საკონცერტო და საგანმანათლებლო ფუნქციებს: კონცერტებისა და მასტერ-კლასებისთვის თბილისში ფრანგი ვოკალისტი კაროლინ დიუმა ჩამოდის.

თვის ბოლოს სწორედ დიდ დარბაზში დაიხურება იაპონიის დღეები საქართველოში. ამ ცერემონიალზე იაპონელი შემსრულებლები საკუთარ პროფესიულ მუსიკას წარმოადგენენ. ამ სეზონზე კონსერვატორია კლასიკური მუსიკის გარდა საკუთარ სივრცეს ფოლკლორულ და ჯაზურ მუსიკასაც დაუთმობს. მრავალფეროვან კონცერტებს გამართავენ თბილისის ჯაზფესტივალის სტუმრები, ქართული საგუნდო კოლექტივები და სხვ. დიდი დარბაზი განსაკუთრებით ტრადიციული "საშობაო კონცერტების" სერიისთვის ემზადება.

ეს მხოლოდ ზედაპირული მიმოხილვაა იმ ღონისძიებებისა, რომელსაც ამ სეზონზე თბილისის წამყვანი საკონცერტო დარბაზები უმასპინძლებს. მუსიკალური არდადეგები დამთავრდა, ახლა მუსიკალური სეზონის ჯერია.

ეთნო-ელექტრონიკა ბრიტანული შესრულებით

Banco de Gaia-ს უიკენდი თბილისში

ვერა ნეფარიძე

წუხელ კლუბ "ნოა-ნოაში" Banco de Gaia-ს თბილისური გრძელი უიკენდი დაიწყო. გრძელი უიკენდი - ასე უწოდეს ბრიტანელი მუსიკოსის სამდღიან გასტროლს თბილისური კონცერტების ორგანიზატორებმა - პრომოუტერმა ვანიკო თარხნიშვილმა და კომპანია "კენტის" წარმომადგენლებმა. ტობი მარკსის, იგივე Banco de Gaia-ს სტუმრობით გუშინ თბილისურ შოუ-ბიზნესში საშემოდგომო საგასტროლო სეზონი გაიხსნა.

ერთ-ერთი ვერსიით Banco de Gaia მუსოლინის საყვარლის სახელი იყო, მეორე ვერსიით - მექსიკელი რევოლუციონერი პოეტის. უეჭველი მხოლოდ ისაა, რომ ამ ფსევდონიმით წლების განმავლობაში მუსიკალურ სცენაზე მოღვაწეობს ინგლისელი ტობი მარკსი. როგორც მოსალოდნელი იყო, ტობი მარკსმა საკუთარი შემოქმედებითი საიდუმლო არც თბილისში გაამხილა. ჩვენ შორის, ალბათ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ვერ გაარკვევდა, თუ რა იმალება წლების განმავლობაში გასაიდუმლოებულ სახელწოდებაში Banco de Gaia, მაგრამ მუსიკოსისთვის მილიონჯერ მაინც დასმული შეკითხვა თბილისის აეროპორტშიც გაისმა. ზუსტი პასუხი კი ამ შეკითხვაზე რასაკვირველია ვერ მივიღეთ. "ყოველთვის, როდესაც ამას მეკითხებიან, ახალ-ახალ ვარიანტებს ვიგონებ. ამ შეკითხვას კი საკმაოდ ხშირად მისვამენ. ამჯერად ჯერ არ მომიფიქრებია, თუ რა უნდა ვუპასუხო ამასთან დაკავშირებით ჩემი ამჟამინდელი მოგზაურობისას", - გულახდილად გვითხრა Banco de Gaia-ს ავტორმა.

Banco de Gaia თბილისის აეროპორტში.

ვახო გასელიას ფოტო

Banco de Gaia-ს გასტროლები თბილისში მუსიკოსის არასაგასტროლო პერიოდს დაემთხვა. ერთი კვირის წინათ მან კონცერტები მექსიკის დედაქალაქში გამართა, ხოლო ათი დღის შემდეგ Banco de Gaia-ს შეერთებულ შტატებში უმასპინძლებენ. ისევე როგორც თბილისში, ტობი მარკსს ამერიკაშიც მარტოს მოუსმენენ. მართალია, როგორც წესი, ეს ბრიტანელი მუსიკოსი ჯგუფთან ერთად მართავს ცოცხალ კონცერტებს, მაგრამ რადგანაც ამჟამად ახლა ტობი მარკსი, ძირითადად, ახალ ალბომზე მუშაობითაა დაკავებული, ამიტომ როგორც თვითონ გვითხრა, გაცილებით იოლია მისთვის (უფრო კი, ალბათ, კონცერტების ორგანიზატორებისთვის) მარტო მოგზაურობა. "როდესაც ცოცხალ შოუებს ვაწყობ, ამას უზარმაზარი აპარატურა, ბევრი მუსიკოსი სჭირდება. ამჯერად მირჩევნია მარტო ვიმუშაო სცენაზე, ასე უფრო იოლია", - ამბობს ტობი მარკსი. ჯგუფის შემადგენლობას მუსიკოსი ყოველი ალბომის გამოსვლის შემდეგ ცვლის: "ჩემი უკანასკნელი ჯგუფის შემადგენლობა ბოლო სამი წლის განმავლობაში არ შეცვლილა". შეჩვეულ მუსიკოსებთან დამშვიდობება კი ტობი მარკსს მალე მოუწევს, რადგანაც Banco de Gaia-ს რიგით მეოთხე ალბომი (რომლის სახელწოდებაც მუსიკოსს ჯერ არ მოუფიქრებია) შემოდგომაზე გამოვა. ამის შემდეგ კი დაიწყება საკონცერტო ტურნეები ჯგუფის განახლებული შემადგენლობის მონაწილეობით. "სრულიად შესაძლებელია, ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ვეწვიო თბილისს უკვე ჯგუფთან ერთად", - გვითხრა თბილისური კონცერტების დაწყებამდე ბრიტანელმა მუსიკოსმა.

როგორც ცნობილია, ტობი მარკსი ეთნიკური მუსიკის შეგროვებით წლების განმავლობაში ამდიდრებს საკუთარ შემოქმედებას და აქედან გამომდინარე, თანამედროვე ელექტრონულ მუსიკასაც. მის ფონოთეკაში კი ქართული ფოლკლორის ნიმუშებიც ყოფილა. "კომპაქტ-დისკი მოსკოვში მაჩუქეს და მითხრეს, რომ ქართული ფოლკლორია ჩაწერილიო. ამ დისკიდან აუცილებლად დავუკრავ თბილისში რაიმეს და თავად ნახეთ, მართლა არის თუ არა ის ქართული ფოლკლორის ნიმუში. ისე კი, ქართულ მუსიკაზე ბევრი მსმენია. თუმცა, ახლა სამწუხაროდ ვერ დაგისახელებთ ვერცერთ შემსრულებელს", - გვითხრა ეთნიკური მუსიკის თაყვანისმცემელმა ტობი მარკსმა.

როგორც Banco de Gaia-ს თბილისური კონცერტების ორგანიზატორები შეგვპირდნენ, დედაქალაქის სამივე ღამის კლუბში გამართული საღამო ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. შეკითხვაზე, თუ რითი განსხვავდებოდა ეს კონცერტები ერთმანეთისგან, თავად ბრიტანელმა მუსიკოსმა ასე გვიპასუხა: "ჯერჯერობით არ ვიცი კონკრეტულად. თუმცა, ის ნამდვილად ვიცი, რომ ამათგან ერთი აუცილებლად იქნება შედარებით მშვიდი, მეორე კი საცეკვაო. მაგრამ ყველაფერი მაინც ადგილზე, კლუბებში გადაწყდება".

ათეულები

ფილმების თანმხლები მუსიკის დისკების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით

Billboard .COM
Billboard Radio

	ფილმი	ნიშნა კვირის მაჩვენებელი	რამდენი კვირა იმყოფება ათეულში
1.	"ცუდი ბიჭები -2"	1	6
2.	"ზიკცი"	8	32
3.	"ლილო-მაგუიერის კინო"	2	18
4.	Freaky Friday	3	4
5.	"ფრედი უკისონის ნინაღმები"	3	4
6.	"ამ ქრისტეს ქორწილი"	5	5
7.	"კარიბის მეკობრეები"	6	5
8.	2 Fast 2 Furious	7	13
9.	The Cheetah Girls	16	2
10.	"დეარჩვილი"	9	2

ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მიხედვით

Billboard Radio
SEE IT. HEAR IT. ONLY HERE!
Billboard .COM

ფილმი, რეჟისორი	მსახიობი	უიკენდის შემოსავალი $	საერთო შემოსავალი $
1. Jeepers Creepers ეიქნერ სპეცი	რეი ვილსი, ჯონათან ბრეკი	18.4 მილიონი	18.4 მილიონი
2. Freaky Friday ბარე უოტერსი	ჯეიმი ლი კურტისი, ლინდსი ლოჰანი	12.6 მილიონი	90.8 მილიონი
3. "კარიბის ზღვის მეკობრეები" გორ ვერბინსკი	ჯონი დეპი, ორლენდო ბლუმი, ჯეფრი რაში, კეირა ნაითლი	10.8 მილიონი	276.8 მილიონი
4. S.W.A.T. კლარკ ჯონსონი	სამუელ ელ ჯექსონი, კოლინ ფარელი, მიშელ როდრიგესი	10.8 მილიონი	102.7 მილიონი
5. Open Range კევინ კოსტნერი	კევინ კოსტნერი, რობერტ დუვალი, ანეტ ბენინგი	10.7 მილიონი	43.5 მილიონი
6. Seabiscuit გერი როსი	ტობი მაგუაერი, ჯეფ ბრიჯესი, ქრის კუპერი	9.1 მილიონი	104.6 მილიონი
7. "ორეული ჯეისონის ნინაალმდეგ" ჯონ ეი	რობერტ ოსბორნი, კევ კორნიშეფერი, ბონეი კენი	8.7 მილიონი	72.9 მილიონი
8. "შეყვარებული ქორწილის წინა ღამეს"	ჯეკი ჩანი, კლერ ფორლანი	6.2 მილიონი	16.9 მილიონი
9. "ათიანები მიდიან საზოგადოებიდან" ბობ ოდენკირკი	პრიტანი მურფი, დიკარლო ფენტინი	5.6 მილიონი	30.4 მილიონი
10. "პატარა ცელქი ქორწილი" ჯეკი დიდენსი	ჯულიან მაგნუსი, მოლ ვიდალ სკოტი, ელისონ პეტიგრიანი	1.1 მილიონი	2.1 მილიონი

კვირის ბესტსელერები გაზეთ "დეილი ტელეგრაფის" მიხედვით

	ავტორი	წიგნი	გამოცემლობა	ფასი გირვანქა სტერლინგებში
1.	ჯეი კეი როულინგი	"პატარა პოტერი და ფენიქსის ორდენი"	"ბლუმსბერი"	16.99
2.	"ბნელეთის ჯიში"	დარელ ჰარდი	"ზენიტი"	10.99
3.	"სისხლის ნაკეთები"	იან რენკინი	"ორიონი"	17.99
4.	"ოცნებების წყება"	პაულო კოელიო	"ჰარპერ კოლინზი"	14.99
5.	"ბრიჯ ჯონსი"	მონიკა ალი	"დაშლედი"	12.99
6.	"ოცნების საკეთილო"	ქლაივ ქასლერი	"ეი ჯი ფიუტი"	10.99
7.	"ბაბი"	ფრედი ვორჰაი	"მაინენშინი"	9.99
8.	"ბეკლერების ოთხი"	ფლ. დი. ჯეიმსი	"ფაბერი"	17.99
9.	"შინდლერის ძეგლები"	ქეთი რიჩსი Reichs	"მაინენშინი"	16.99
10.	"ცისფერ ჯინებიანი ქალები"	ჯეკ ჰიგინსი	"ჰარპერ კოლინზი"	17.99



ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223. ტელ: 32 97 83

TV პროგრამა
6 სექტემბერი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი „ჰერკულესის თავგადასავალი“ **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები“ **17.40** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა“ **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „სუფთა ინგლისური მკვლელობა“ **19.00** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **19.35** დოკ. ფილმი „თანამედროვე ტექნოლოგიები“ **20.05** სერიალი „მაქსი“ **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „მამა“ რეჟ: იშტლან საბო. **02.20** მხ.ფილმი „შულერები“. მთ. რ-ში: მეთ დეიმონი, ედვარდ ნორტონი.

პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი „უკანასკნელი გაქცევა“ **10.00** დილის პაემანი **11.00** მხიარული კარუსელი **11.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.00** თბილისი და თბილისელები **12.30** პოზიცია **13.15** კვალი **13.50** ბენი ჰილი **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.15** ქართ. ფილმი „აფრიკელი“ **17.00** საწინდარი **17.30** ასე ვცხოვრობთ **18.00** „ვესტნიკი“ **18.35** „თბილისის დროით“ **19.00** ისტორიანი **19.30** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **19.55** ფეხბურთი. საქართველო-ალბანეთი. შესვენებისას მოამბე. **21.55** ფორტუნა **22.30** პროფათეული **23.05** ამბობენ **23.40** მოამბე **23.55** მხ. ფილმი „ჰომერი და ედი“ **01.30** ღამის ჯაზი .

პირველი სტერეო

09.00 მუსიკა **10.00** ტროროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „იცეკვე ჩემთან“ მთ. რ-ში მია კირშნერი, კიტ კერედაინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სვეღი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო“ „სიყვარულის ბოლო ზაფხული“ მთ. რ-ში ემბეტ დევიტცი, ტომ ბელი. **01.50** „ღამურა“ „სამი იქსი“. მთ. რ-ში ვინ დიზელი, აზია არჯენტო. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** მხ. ფილმი „პოლიციელის სიტყვა“ **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი „ყველაფერი სიყვარულზე“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ცხრა იარდი“ **13.30** მხ. ფილმი „ცხელი ზაფხული“ **15.00** მხ.ფილმი „მემკვიდრეობა“ **17.00** მხ. ფილმი „უფსკრული“ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი „თავში ურის“ **22.30** მხ. ფილმი „მარტის კატები“ **00.20** მხ. ფილმი „შოკოლადი“ .

იგერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.30** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „შურისძიება“ **17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი „ბოტანიკური ბაღი“ **02.30** მუსიკა.

მეცხრე არხი

08.00 მხ. ფილმი „დუეტები“ **09.50, 12.25, 14.15, 15.20, 17.20, 17.50** მუსიკა **10.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **10.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **12.00** დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები“ **12.40** მხ. ფილმი „დუბლიორი ქალი“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი“ **15.30** სერიალი „ღამის ექიმები“ **16.30** დოკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** მოკლ. მხ. ფილმი „სამეფოთა გასაღები“ **18.00** მულტსერიალი „ტომი და შინა“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** „საუბრები სტუდიაში“ **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა“ მე-15ს. **21.15** ფილმი-კონცერტი „ჰერბი ჰენკოკი“ (განმ.) **22.15** „ტელემეტრი“ **22.30** გადაცემა „ოლიმპი“ **22.55** მოკლ.მხ.ფილმი „ხურდა ფული“ **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** მხ. ფილმი „რაშელი და მისი სიყვარული“.

იმედი

09.00 ქრონიკა **09.15, 12.20, 14.50, 01.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.20** ანიმაციური სერიალი „მითიური მეომრები“ **10.50** მხ. ფილმი „ლამაზმანები“ **12.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.10** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.40** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“ **15.10** მხ. ფილმი „უპრობლემოდ“ **17.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **18.00** „ერთხელ ჰოლივუდში“ **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **19.20** მხ. ფილმი „გააღეთ პოლიციაა-2“ **21.05** ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“ **22.45** საღამოს ღიმილი **23.00** კლიპ-ლოტო **23.10** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. 1-ლი ტაიმი. **00.20** ქრონიკა **00.30** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. მე-2 ტაიმი.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10, 16.10** საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** მულტფილმი „უფლისწული და მათხოვარი“ **09.35** ვიდეოარტი **09.40** ფანტასტიკა „ვარსკვლავური ომები“ **12.10** კომედია „იღბლიანი ჯენტლმენები“ **13.35** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს მსოფლიოში“ **14.05, 16.55** ვიდეოარტი **14.10** თრილერი „მერია“ **16.20** მულტფილმი **17.00** კომედია „ანგელოზები არა ვართ“ **18.05** ფილმის გარჯძელება **18.45, 03.20** მუსიკა **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** „პრესდაჯესტი“ **19.35** „ყველანი ვართ პატარები“ **19.40** მხ. ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ **23.00, 02.20** დოკუმენტური ფილმი **00.50** „ქართული კინო“ **03.40** მიუზიკლი „ჰელოუ, დოლი“.

VII არხი

18.10 მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.05** „ნა-ნა-ნა“-კარაოკე **21.05** კომპიუტერული თამაშები **21.10** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.20** მელოდია **22.50** კომპიუტერული ტექნიკა **23.30** „კინოკლუბი „ - „ნორმა ჯინი და მერილინი“ ცხოვრებისეული რეჟ: ტიმ ფაიველი. როლებში: მირა სორვინო, ემლი მაიერი.

ОРТ

07.00, 11.00, 13.00, 19.00 Новости **07.10 Худ.фильм „Рожденная свободной...“ „Новые приключения“ 09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Играй, гармонь любимая!“ **10.00** „Слово пастыря“ **10.15** „Здоровье“ **11.10** „Смак“ **11.30** „Возвращение домой“. И.Ливанов. Киев **12.20** „Путешествия натуралиста“ **13.10 Худ.фильм „Пирамиды“ 14.10** Док.фильм „Екатерина III“, ч.1. „Марш энтузиастки“ **15.15** Дисней-клуб: „Геркулес“ **15.40** „Большие родители“. С.Бондарчук **16.15 Худ.фильм „Судьба резидента“, ч.1 17.55** Док.фильм „Корейский капкан“ **19.10** „Шутка за шуткой“ **19.50 Футбол. Отборочный матч Чемпионата Европы-2004. Сб. Ирландии - Сб. России 22.00** „Время“ **22.25** „Золотой Граммофон“ **23.30 Боевик „Гонщик“ 01.40 Европейский хоккейный тур. Сб. Швеции - сб. России 03.30** „Реальная музыка“ .

РТР

07.00 Худ.фильм „Тайна записной книжки“ 08.20 Сериал „Дракоша и компания“ **08.45** „Золотой ключ“ **09.05** „Русское лото“ **09.35** Мультфильм: „Возвращение блудного попугая“, „Охотник“ **09.50** „Большая перемена“ **10.15** Маленькие комедии „Ха“ **10.30** „Утренняя почта“ **11.05** „Не скуЧАЙ!“ **12.00** „Сам себе режиссер“ **13.00** Экстремальный проект „Крутой маршрут“ **14.00** „В поисках приключений“ **15.00, 21.00** „Вести“ **15.20 Детектив „Версия полковника Зорина“ 17.00 Комедия „План „Б“ 19.00** „Комната смеха“ **20.00** Супер-шоу „Вторая половина“ **21.25** „Перекресток „Афганистан“ с Е.Масюк **22.20 Боевик „Патриот“ 01.30 Детектив „Дочь генерала“ 03.50 Сериал „Клоун“.**

НТВ

07.30 Худ.фильм „Рокировка в длинную сторону“ 09.00, 13.00, 17.00 „Сегодня“ **09.20 Худ.фильм „Улица Сезам“ 09.45 Худ.фильм „Тара-рам!“ 09.55** „Без рецепта“. Доктор Бранд **10.30** „Обозреватель“ **11.00** „Кулинарный поединок: С.Павлиашвили - Б.Моисеев“ **11.55** „Квартирный вопрос: пять дочек“ **12.50** Спорт „Лото 6 из 49“ **13.15** „Дикий мир“. Экспедиция Т.Баженова **14.00 Мелодрама „Скорый поезд“ 16.00** „Вкусные истории“ **16.05** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“. Юбилейный выпуск **17.55 Сериал „Агент национальной безопасности 3“ 19.05** „Совершенно секретно: атипичная истерия“ **20.00** „Личный вклад“ с А.Герасимовым **21.00 Мелодрама „Женщин обижать не рекомендуется“ 23.00 Триллер „Я все еще знаю, что вы сделали прошлым летом“ 00.55** Ночные музы **02.35 Сериал „За гранью возможного“.**

რა საერთო აქვს ეიზენშტეინს სტალონეს დედასთან?

“ატრაქციული მონტაჟი”, “ინტელექტუალური მონტაჟი” - ყოველივე ეს დიდი რეჟისორის, სერგეი ეიზენშტეინის სახელს უკავშირდება. სწორედ მან დაამკვიდრა კინემატოგრაფში მონტაჟის ახალი ხერხები. შექმნა ნამდვილი კინო შედევრები: “ივანე მრისხანე”, “ჯავშოსანი პოტიომკინი”... 1925 წელს შექმნილი “ჯავშოსანი პოტიომკინი” 1905 წელს, მეზღვაურების აჯანყებას შეეხება, რომელიც მის მიერ დანერგილი “ინტელექტუალური მონტაჟის” არაჩვეულებრივი მაგალითია. ფილმი გადაღებულია სხვადასხვა რაკურსითა და დისტანციით, რომლის ცალკეული კადრები რიტმულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ამით საოცარ დაძაბულობას ქმნის. 1346 ცალკეული კადრისგან შემდგარი ფილმი, ნამდვილი რევოლუცია იყო კინემატოგრაფში, სადაც მანამდე არც ერთი ფილმი 600 კადრს არ აღემატებოდა. ყველაზე ძლიერ სცენად კი ითვლებოდა და დღესაც ითვლება კიბეების სცენა, როდესაც შეიარაღებული ჯარისკაცები მოსახლეობის წინააღმდეგ გამოდიან. შეშინებული, დამფრთხალი ხალხი, დაგორებული ბავშვის ეტლი, ყბადაღებული ლომის ქანდაკებები... ეს ყოველივე საოცარ ემოციურ დაძაბულობას ქმნიდა. ასე იყო მაშინ; დღეს კი...

ჰოლივუდურ ბლოკბასტერთა გმირის სილვესტერ სტალონეს დედა ჟაკლინ სტალონე, სიბერის ხანად თავისი ძალების კინოში მოსინჯვას ცდილობს. და არც მეტი და არც ნაკლები პირდაპირ ეიზენშტეინს მიადგა. წარმოშობით ოდესელი წინაპრების მემკვიდრე ჟაკლინმა განაცხადა, რომ აპირებს გადაიღოს “ჯავშოსანი პოტიომკინის” რიმეიკი, რომლის რეჟისორობაც მან რომან პოლანსკის შესთავაზა. თვითონ კი პროდიუსერის ამპლუაში მოგვევლინება. თურმე ნუ იტყვი და ამ პროექტით სილვესტერიც დაინტერესებულა, რომელიც, ალბათ, ერთ-ერთ გმირს განასახიერებს.

თუ პროექტი შედგა, მაშინ ვფიქრობ, რომ მაყურებელს ტიპურ ჰოლივუდურ ბლოკბასტერად გადაკეთებული შედევრის ნახვა მოუწევს.


სილვესტერ სტალონე

დეპი ბუშის წინააღმდეგ

კინოვარსკვლავ ჯონი დეპს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ვერაფრით მოაწონა თავი. “პრეზიდენტი ბუში ერთ-ერთი ყველაზე საძაგელი მატყუარაა, რაც კი ოდესმე შემხვედრია,” განუცხადა მან “შტერნის” კორესპონდენტს. დეპის თქმით, მარტო ის რად ღირს, რომ პრეზიდენტი ერაყს “მხოლოდ ბიზნესად” თვლის.

40 წლის მსახიობის თქმით, ბუშის მთავრობის წევრებმა, “ზრდასრულმა მამაკაცებმა და ქალებმა, რომელთაც მმართველი თანამდებობები უკავიათ”, ერაყის ომისა და ანტისაომარი განწყობის გამო ფრანგების კრიტიკის დროს “სრულ იდიოტებად გამოიჩინეს თავი”. ჯონი დეპისთვის შეერთებულ შტატებში ცხოვრება უკვე წარმოუდგენელი რამაა. ამჟამად ის თავის მეუღლესთან, ვანესა პარადიზთან და ორ შვილთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში ცხოვრობს და ლოს ანჟელესში თავის სახლს სულ მოკლე ხნით თუ ეწვევა ხოლმე.

დეპს უნდა, რომ მისი ოთხი წლის ქალიშვილისთვის, ლილი-როზისთვის და ერთი წლის ვაჟისთვის, ჯეკისთვის აშშ მხოლოდ უცნაური სათამაშო იყოს: “ცოტას გაერთობიან, დაათვალიერებენ და მორჩა. ჩემი შვილები სულ მალე მიხვდებიან, რომ ეს სათამაშო გაფუჭებულია და არაფრად ვარგა”.

ჯონი დეპი

ამერიკული კომპანია PEPSI-COLA-ს
ოფიციალური გოთლერი საქართველოში შპს "იგერია რეფრეშმენტი" იწვევს 25 წლამდე ასაკის მამაკაცებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე სამუშაოდ.
მოთხოვნები
- განათლება - უმაღლესი.
- სასურველია მანქანის მართვის ცოდნა.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.
დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოავზავნოთ ავტობიოგრაფია (CV) 15 სექტემბრამდე ფაქსზე 43 35 15

განცხადება
ექსკლუზიური ლიდერი ბერძნული პროდუქციის იმპორტში საქართველოში, სადისტრიბუციო ფირმა შპს "პონტო სტარ კომპანი", აცხადებს 20-26 წლამდე ასაკის ვაჟების მიღებას სავაჭრო განყოფილებაში, ტესტირებისა და გასაუბრების წესით.
აუცილებელია უმაღლესი განათლება,სასურველია ავტომანქანის მართვის მოწმობა.
დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ავტობიოგრაფია (cv) 30 სექტემბრამდე.
ფაქსზე: 91 13 41
მოუთითეთ თქვენი საკონტაქტო კოორდინატები.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.